საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

შაბათი-კვირა, 5-6 ოქტომბერი. 2019 წ. №198 (8863) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრუნის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

საქართველო გახდება ნატოს წევრი, ეს გადაწყვეტილება არ შეცვლილა!

საქართველო ალიანსისთვის არის უნიკალური პარტნიორი, — ამის შესახებ ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ როუზ გოტმიოლერმა საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

როგორც გოტმიოლერმა აღნიშნა, ნატოს ყველა მოკავშირე აღიარებს საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიონალიზმს და იმ წვლილს, რომელიც საქართველოს შეაქვს ოპერაციებსა და მისიებში.

„დღეს ჩვენ შევაჯამეთ, რამდენს მივაღწიეთ და როგორ გავაღრმაოთ ჩვენი პარტნიორობა მომავალ წლებში. ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი არის წარმატების ისტორია. თქვენი ურთიერთთავსებადობა ნატოსთან და თქვენი შეიარაღებული ძალების შესაძლებლობები გაზარდა. ასევე მინდა ხაზი გავუსვა, რომ ნატოს ყველა მოკავშირე აღიარებს საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიონალიზმს და იმ წვლილს, რომელიც თქვენ შეგაქვთ ჩვენს ოპერაციებსა და მისიებში. მიმდინარე წელს პირველად ამ ცენტრმა ორგანიზება გაუწია და უსელმძღვანელა კრიზისებზე რეაგირების მრავალეროვნულ წვრთნას, რომელიც ნატოს პროცედურების შესაბამისად ჩატარდა. ეს იყო რთული ამოცანა, თუმცა მათ ეს გააკეთეს თავიდან ბოლომდე და ეს იყო წარმატება. ახლა ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩვენ ვემზადებით ნატო-საქართველოს მორიგი წვრთნებისთვის, რომელიც 2022 წელს ჩატარდება. ჩვენ ასევე ვავითარებთ დიალოგს შავი ზღვის რეგიონში თანამშრომლობის კუთხით.

ივნისში ბრიუსელში გამართულ სამიტზე, ნატოს ლიდერებმა დაადასტურეს 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება და გუშინ ნატო-საქართველოს კომისიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ამ დადასტურებას შეიცავდა. საქართველო გახდება ნატოს წევრი. ეს გადაწყვეტილება არ შეცვლილა და ჩვენ მზად ვართ, გავაგრძელოთ მჭიდრო მუშაობა, რათა მოვამზადოთ თქვენი ქვეყანა ნატოს წევრობისთვის“, — განაცხადა გოტმიოლერმა.

საქართველო დღეს დიდ კომპოზიტორს ემშვიდობება



გია ყანჩელი

84 წლის ასაკში გარდაიცვალა თითოეული ქართველისთვის საყვარელი და საამაყო კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი, ბატონი გია ყანჩელი.

ქართველმა ერმა დაკარგა კიდევ ერთი სასახელო შვილი, რაც უდიდესი დანაკლისია არა მარტო ჩვენი კულტურისა და ქვეყნისთვის, არამედ მსოფლიო მუსიკალური სამყაროსთვისაც.

საქართველოს კულტურის ფონდი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი გიას გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახს, მის უამრავ თაყვანისმცემელს და სრულიად საქართველოს.

შეერთებულმა შტატებმა ევროპას მასშტაბური სავაჭრო ომი გამოუცხადა!

2

რა ელის მსოფლიო ეკონომიკას?

დეკანოზი სიმულანტიც ყოფილა!

საპატრიარქო დეკანოზ მამალაძის საქმეზე პოზიციას გამოხატავს

„როგორც ცნობილია, დეკანოზ გიორგი მამალაძესთან დაკავშირებით უკვე შვიდი თვეა, საზოგადოებას მიეწოდება ინფორმაცია, რომ იგი მძიმედაა ავად და ამ მოტივით ითხოვდნენ შუამდგომლობას ეკლესიისგან და შეწყალებას ხელისუფლებისგან.

მიუხედავად იმისა, რომ მამალაძისგან და მის მხარდამჭერთაგან შანტაჟი და ცილისმწამებლური კამპანია ორ წელიწადზე მეტია, მიმდინარეობს (და ამის პასუხად ჩვენი პოზიცია ბოლოს ა.წ. 26 თებერვლის განცხადებაში გამოვხატეთ), ავადმყოფი პატიმრის მიმართ ეკლესია მაინც ვერ დარჩებოდა გულგრილი და გადადგამდა შესაბამის ნაბიჯს, თუ, რა თქმა უნდა, სათანადო საფუძველი იქნებოდა; ვინაიდან დეკანოზის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით არსებობდა ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, ამიტომაც საქართველოს საპატრიარქომ არაერთხელ მიმართა როგორც იუსტიციის სამინისტროს, ისე სახალხო დამცველს რეალობის გასარკვევად.

სამწუხაროდ, სახალხო დამცველმა ბუნდოვანი პასუხი მოგვცა, ხოლო იუსტიციის სამინისტროდან სამი კვირის წინ მიღებულ წერილში აღნიშნულია, რომ ჩვენი მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის თანხმობა უნდა ყოფილიყო დაზარალებულის მხრიდან.

ეს პასუხი საზოგადოებასთან ურთიერთობის ჩვენი სამსახურის ხელმძღვანელმა თავის გვერდზე გამოაქვეყნა და ველოდებოდით პატიმრობაში მყოფისაგან გამოხმაურებას, რაც არ მომხდარა.

ა.წ. პირველ ოქტომბერს კი უკვე საინფორმაციო სააგენტო „პრაიმ-ტაიმმა“ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის ნაწილი გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია რომ დეკანოზ გიორგი მამალაძის „ქცევა ატარებს დაყენებით (სიმულაციურ) ხასიათს“.

ცოტა ხნით ადრე დაიბეჭდა ადვოკატ მიხეილ რამიშვილის წერილი, სადაც იგიც აღნიშნავდა, რომ, კვლევების შედეგებით დეკანოზის მხრიდან ავადმყოფობის სიმულაციას (მოგონებას) აქვს ადგილი, თუმცა არ ეთანხმება ექსპერტების დასკვნას და უნდობლობას უცხადებს მათ.

თუ მამალაძის მხარე ასე მართლაც ფიქრობს, ალბათ, მოითხოვენ მათი ნდობით აღჭურვილი ადგილობრივი ექსპერტების, ან საერთაშორისო ექსპერტების ჩართვას, რისი უფლებაც მათ კანონით აქვთ, მაგრამ თუ აღნიშნული შეფასება სიმულაციის შესახებ ეჭვქვეშ ვერ დადგება, სიტუაცია რადიკალურად იცვლება და მამა გიორგის და მის დამცველთა ქმედება სულ სხვა კუთხით წარმოჩინდება, რაც მათ ძალიან დიდ პასუხისმგებლობას დააკისრებს.

ვფიქრობთ, აუცილებელია, ექსპერტთა დასკვნა სრულად მიეწოდოს საზოგადოებას, რათა გაუგებრობას არ ქონდეს ადგილი“.

მშვიდობით, მაესტრო

გია ყანჩელის ხსოვნას

თქვენ უნდა უსმენდეთ სიჩუმის ფალცეტებს
და თქვენი სიცოცხლე იქ უნდა გაგრძელდეს,
ფეხი რომ არავის დაუდგამს არცერთხელ... —
ვიღაცას დროისთვის ხომ უნდა გაესწრო!
თქვენ უნდა ციერთა კონცერტებს დაესწროთ...
თქვენ უნდა სამყაროს ხედებზე გავრცელდეთ... —
მშვიდობით! მშვიდობით! მშვიდობით, მაესტრო!

ბათუ დანელია

ჰააგის მთავარ სამრეკლოში ყანჩელის მელოდიები აჟღერდა

ჰააგის მთავარ სამრეკლოში გია ყანჩელის პატივსაცემად მისი უკვდავი მელოდიები აჟღერდა, — ამის შესახებ ინფორმაცია ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩომ გუშინ გაავრცელა. ჰააგის სამრეკლოს ზარებმა ასევე დაუკრეს ყველა დროის ყველაზე პოპულარული ქართული მუსიკალური ნაწარმოებები რევაზ ლაღიძის „თბილისო“, „სულიკო“ და დავით არჩვაძის „მომნატრებიხარ“.

ქართული ნაწარმოებების ჰააგის მთავარი სამრეკლოდან ცოცხლად შესრულების იდეის ავტორია ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს ახალგაზრდა ელჩი **ერეკლე კოპლატაძე**.

„ერეკლეს ინიციატივითა და ძალისხმევით, მაისში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, ქ. გრონინგენის შუა საუკუნეების სამრეკლოს ზარებზე ცოცხლად არაერთხელ შესრულდა სხვადასხვა ქართული ნაწარმოები, მათ შორის „თბილისო“, „ჩიტო-გვრიტო“, „სულიკო“, ირაკლი ჩარკვიანის „ვიცი, რომ“ და ფრაგმენტი ოპერიდან „დაისი“, — აცხადებენ საელჩოში.

როუზ გოტმიოლერი – ნატოსთვის მზადება მოითხოვს განსაკუთრებულ გამბედაობას!

ნატოს წევრობისთვის მზადება მოითხოვს გამბედაობას, თავდაჯერებულობას, მთელი საზოგადოების მიდგომას, განსხვავებული პოზიციის მქონე პარლამენტარების ერთად მუშაობას, — ამის შესახებ ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ როუზ გოტმიოლერმა ნატოს წევრი ქვეყნების მუდმივ წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძესთან და პარლამენტის დეპუტატებთან შეხვედრისას განაცხადა.

გოტმიოლერის თქმით, **მისთვის პატივია, რომ აქვს საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის, ქვეყნის მნიშვნელოვანი განვითარებისა და რეფორმების შესახებ მათთან აზრთა გაცვლის შესაძლებლობა. საქართველოში მიმდინარე შიდა და თავდაცვის სექტორის რეფორმებს უზრუნველყოფს — როგორც პრაქტიკული, ისე პოლიტიკური მხარდაჭერით.**

საქართველოს მთელი მოსახლეობის წარმომადგენლობით პარლამენტარები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს საქართველოს მისწრაფებებსა და ძალისხმევაში, ასევე იმის უზრუნველყოფაში, რომ საქართველო დარჩეს რეგიონის ლიდერად რეფორმების თვალსაზრისით.

როგორც ცოტა ხნის წინ პარლამენტის სპიკერთან აღვნიშნე, ჩვენ ძალიან გვიხარია, როდესაც ნატოს საპარლამენტო ასამბლეას საქართველო ესწრება, სადაც ისინი დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობენ და ყველაზე რთულ კითხვებს სვამენ“, — განაცხადა როუზ გოტმიოლერმა.

ირაკლი ღარიბაშვილი ნატოს გენერალური მდივნის მოადგილეს შეხვდა

ნატოს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს (NAC) ვიზიტის ფარგლებში, ბათუმში, სასტუმრო „ჰილტონში“ საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ნატოს გენერალური მდივნის მოადგილეს როუზ გოტმიოლერის შეხვდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, თავდაცვის მინისტრმა ნატოს გენერალური მდივნის მოადგილეს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრაზე საუბარი ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) განხორციელების, თავდაცვის ძალებში მიმდინარე რეფორმების, ნატოსა და ევროკავშირის ეგიდით საქართველოს საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის საკითხებს შეეხო.

ნატოს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს (NAC) რიგით მეხუთე ვიზიტი საქართველოში გუშინ დასრულდა.

ალიანსის 29 ქვეყნის მუდმივი წარმომადგენლები თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების, ასევე, დემოკრატიული რეფორმების წარმატებით განხორციელების კუთხით მიღწეულ პროგრესს ეცნობიან.

ილჰამ ალიევი: ყარაბაღი აზერბაიჯანია!

ყარაბაღი აზერბაიჯანია და წერტილი, — განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა სოჭში, ვალდაის ფორუმზე. ამ განცხადებით ილჰამ ალიევმა სომხეთის პრემიერ-მინისტრს ნიკოლ ფაშინიანს უპასუხა, რომელმაც განაცხადა, რომ ყარაბაღი სომხეთის ტერიტორიაა.

ალიევის თქმით, მთიანი ყარაბაღის ხალხი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ მთიანი ყარაბაღის მოსახლეობა, რომელიც შედგება სომხებისგან და აზერბაიჯანელებისგან.

„რაც შეეხება იმას, თუ რომელი გადაწყვეტილება არის მისაღები აზერბაიჯანისთვის, ეს არის აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, დევნილების დაბრუნება“, — განაცხადა ალიევმა. ალიევის თქმით, კონფლიქტის დარეგულირების მიზნით, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული ოთხი რეზოლუცია ამ დრომდე არ სრულდება.

„თავისუფალმა საქართველომ“ პროკურატურასთან აქცია გამართა

პარტია „თავისუფალმა საქართველომ“ თბილისის პროკურატურასთან აქცია გამართა. აქციაზე იმყოფებოდა წინა ხელისუფლების დროს დაზარალებული ელენე ჩიტუაშვილი, რომლის თქმითაც, წლების განმავლობაში თანხებსა და პროდუქციას ართმევდნენ.

„გლდანის მერვე მიკრორაიონში მქონდა 180 კვ.მ. ფართობზე სუპერმარკეტი. წამართვეს მთლიანად მაღაზია, 82 ათასი ლარის ქონება, საქმეში აუდიტის დასკვნაც დევს. ერთ-ერთი, ვინც მარეკეტებდა, სააკაშვილის დაცვის წევრი იყო. პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე, თავიდან დამპირდნენ, რომ საქმეს გამოიძიებდნენ, მაგრამ რატომღაც, გააჩერეს“, — აცხადებს ელენე ჩიტუაშვილი.

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ წევრები აღნიშნავენ, რომ უნდა მოეწყოს საკომიტეტო მოსმენა, რომელზეც მსგავსი დაზარალებულების საკითხებს განიხილავენ.

„პროკურატურა ეს არის კორუფციული სისტემა, შალვა თადუმაძეს არა აქვს არანაირი მორალური უფლება, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობაზე აცხადებდეს პრეტენზიას. მივმართავთ პარლამენტს, მოეწყოს სპეციალური საკომიტეტო მოსმენა, როგორც ერთ-ერთი დაზარალებული ჩიტუაშვილის საქმეზე, ასევე სხვა 7 ათას საქმეზე, დადგინდეს, რა ნიშნით დაუბრუნა „ქართული ოცნების“ დეპუტატების ნათესავებს წინა ხელისუფლების დროს ჩამორთმეული ქონება პროკურატურამ და რა ნიშნით ეუბნებიან უარს დანარჩენებს“, — განაცხადა კახა კუკავამ.

შეერთებულმა შტატებმა ევროპას მასშტაბური სავაჭრო ომი გამოუცხადა!

რა ელის მსოფლიო ეკონომიკას?

აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ ევროპასთან სავაჭრო ომის ახალი ტალღა წამოიწყო, თანაც ამჯერად ბევრად სერიოზული. უახლოეს დროში ამერიკელები მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის საშუალებით მის ისტორიაში 25%-იანი საიმპორტო ტარიფების ყველაზე მასშტაბურ პაკეტს გაიტანენ. ის მოიცავს ასობით ნიშნეულ ევროპულ საქონელს, მათ შორის ღვინოებს, ყველს, ხორცის და რძის პროდუქტებს — და ბრიტანულ სვიტერებს და გერმანულ დანებსაც კი. მიზეზი — მსოფლიოს თვითმფრინავის მწარმოებელ ორ ყველაზე მსხვილ კომპანიას — ევროპულ Airbus-სა და ამერიკულ Boeing-ს შორის კონკურენციაა, რაც ამ უკანასკნელის სერიოზული პრობლემების გამო გარღმავდა.

საბარიფო ომის საბაბი AIRBUS-ის და BOEING-ის კონკურენცია გახდა

ახალი ტარიფების შემოღება ტრამპის ადმინისტრაციამ მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) გადაწყვეტილების გამო აამოქმედა. 2018 წელს მან 10 წლის წინ აშშ-ის მიერ შეტანილ საჩივარზე გადაწყვეტილება გამოიტანა.

მსო-მ მიიჩნია, რომ ევროკავშირი ზედმეტ სუბსიდიას გასცემდა თავის მთავარ ავიამწარმოებელზე — კორპორაცია Airbus-ზე. ტულუზაში რეგისტრირებულმა ავიაგიგანტმა უსამართლო საბაზრო უპირატესობა მოიპოვა, მიიღო რა 18 მილიარდი ევროს ფინანსური დახმარება თვითმფრინავების A380 და A350WXB წარმოებისთვის, — წერს Bloomberh-ბ. შედეგად, ამერიკულმა Boeing-მა 300-ზე მეტი თვითმფრინავი ვერ გაყიდა, დაკარგა რა „მნიშვნელოვანი წილი მსოფლიო ბაზარზე“, — ნათქვამია აშშ-ის ტარიფების შემოღების ფედერალური სავაჭრო კომისიის შეტყობინებაში.

„მრავალი წლის განმავლობაში ევროპა უზარმაზარ სუბსიდიებს გასცემს Airbus-ზე, რამაც სერიოზულად დააზიანა ამერიკული აეროკოსმოსური მრეწველობა და ჩვენი მუშები. დაბოლოს, 15-წლიანი სასამართლო დავების შემდეგ მსო-მ დაადასტურა, რომ შეერთებულ შტატებს უფლება აქვს, აამოქმედოს კონტრზომები ევროკავშირის უკანონო სუბსიდიების წინააღმდეგ“, — განაცხადა სავაჭრო კომისიის წარმომადგენელმა რობერტ ლაიტცერმა.

ამერიკულმა ადმინისტრაციამ Boeing-ის დაცვა კომპანიის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე რთულ დროს გადაწყვიტა — უახლესი თვითმფრინავის 737 MAX-ის ორი კატასტროფის შემდეგ, რომლის დროსაც 346 ადამიანი დაიღუპა. ავარიები

თურმე სიძვირის განკურნებაც შეიძლება!

წამლებზე „მახრჩობელა“ ფასების ხანის დასასრული...

ბოლო წლების „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული რეფორმა უდავოდ ჯანდაცვის სფეროში განხორციელდა, ამაზე შეურიგებელი ოპონენტებიც კი ნაკლებად იგესლებიან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას ერთი მეტად საგრძნობი ნაკლი აქვს — ესაა სამკურნალო საშუალებათა ბაზარზე ეგრეთ წოდებული „საფთიაქო მაფიის“ სრულიად განუკითხავი დიქტატი, რაც წამლების — მათ შორის საყოველთაო მოხმარების! — ანომალიურად მაღალი ფასებით გამოიხატება და საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის დადებით ეფექტს უკიდურესად ამცირებს.

საქართველოს უკლებლივ ყველა დიდ სააფთიაქო ქსელში PSP-ში, „ავერსში“, „ფარმადეპოში“, CPS-ში, სხვებში, წამლების იმპორტირების ქვეყნებთან შედარებით სამჯერ და მეტად ძვირი ფასები გამუდმებით საზოგადოებრივი, და ასე განსაჯეთ, ხშირად სახელმწიფო უწყებების ოფიციალური წარმომადგენლების მხრიდანაც ცხარე კრიტიკის საგანი არაერთხელ გამხდარა, მაგრამ პრობლემის გადასაჭრელად არც ერთი ქმედითი ნაბიჯი არ გადადგმულა.

ჰოდა, როგორც ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები მოწმობს, ამ მიმართულებით ჩვენში სასიკეთო ძვრების ხანა იწყება, რომლის „პირველ მერცხლად“ პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა მოგვევლინა, რომელმაც, ქვეყანაში სამკურნალო საშუალებათა ბაზარზე აქამდე კომფორტულად მოკალათებულ მაფიას, თავისივე სიტყვებით, „ომი გამოუცხადა და მის მიმართ ანტიმონოპოლიური კამპანია“ წამოიწყო. ეს, კერძოდ, იმაში მდგომარეობს, რომ რამდენიმე დღის წინათ „თავისუფალმა საქართველომ“, პარტიის სახსრებით, რაც, დაგვეთანხმებით, მეტად მნიშვნელოვანია, თურქეთის ქალაქ ხოფაში რამდენიმე დასახელების მედიკამენტების სოლიდური პარტია შეიძინა, რომელთა გაყიდვა 30 სექტემბრიდან თბილისში, ონიაშვილის ქუჩა №80-ში თავის სათაო ოფისში დაიწყო.

ყველაზე საგულისხმო კი ის გარემოებაა, რომ ბევრი ჩვენი თანამოქალაქისთვის მეტად მნიშვნელოვანი ყოველდღიური მოხმარების წამალი, მათ შორის, მაგალითად, **კაპტოპრილი (დენკი), იანუმეტი, კარდიომაგნილი, ბრილინტა, ტრიპლიქსამი, ამარილი, სიმბიკორტი, პრესტანსი, ნაზონექსი, ლორისტა, ქსარელტო, იანუმეტი, იანუმია და ვანსეარი, ამჟამად საქართველოს პრაქტიკულად ყველა დიდ სააფთიაქო ქსელში (PSP, CPS, „ფარმადეპო“, „ავერსი“, სხვ.) დაწესებულ ფასებზე ორჯერ და მეტად უფრო იაფად გაიყიდება.**

ბატონ კახა კუკავას განცხადებით, მათ მიერ შემოტანილი წამლების შეძენა მომხმარებლებს შეეძლებათ მის ფეისბუქ-გვერდზე www.fb.com/Kukava Kakha გახსნილი ელექტრონული აფთიაქის მეშვეობით, საიდანაც შესაძლებელი იქნება ინფორმაციის მიღება სამკურნალო საშუალებების ასორტიმენტსა და ფასების შესახებ. წამლების საფასურის გადახდა მოხდება მხოლოდ ელექტრონული ფორმით, კერძოდ, საქართველოს ბანკის სწრაფი გადახდის აპარატების, ეგრეთ წოდებული ფეიბოქსების მეშვეობით. კონკრეტულად, **მომხმარებელი, რომლისთვისაც საჭირო მედიკამენტები აღნიშნულ აფთიაქში იქნება შემოტანილი და ფასიც მისაღები, ფეიბოქსის სწრაფი გადახდის აპარატის მენიუში მოძებნის „თავისუფალი საქართველოს“ სერვისს, იქ მითითებულ ანგარიშზე ჩარიცხავს საჭირო თანხას, აიღებს ქვითარს, მიაკითხავს პარტიის ოფისს და მიიღებს საჭირო მედიკამენტების გადახდილი თანხის შესაბამის ოდენობას.**

მათთვის კი, ვისაც მიზეზთა გამო სწრაფი გადახდის აპარატებით სარგებლობა არ შეუძლიათ, შინ მიწოდების სამსახური იმოქმედებს. კერძოდ, კურიერი მომხმარებელს საჭირო მედიკამენტს ბინაზე მიუტანს, გადასახდელ თანხას ნაღდი ანგარიშსწორებით მიიღებს, რომელსაც შემდგომ სწრაფი გადახდის აპარატით პარტიის საბანკო ანგარიშზე თავად ჩარიცხავს. ეს პროცედურა იმიტომ განხორციელდება, რომ პარტიის ოფისში ნაღდმა ფულმა არ იტრიალოს.

აუცილებლად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ **სამკურნალო საშუალებების განბაჟებისა და ტრანსპორტირების ხარჯი მთლიანად თავისუფალი საქართველოს პარტიული ხაზინიდან დაიფარება.**

მომავალში, მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ წამლების შემდეგი პარტიების შეძენას სხვა ქალაქებსა და ქვეყნებში უფრო იაფად აპირებენ, რაც მათ გასაყიდ ფასებს ჩვენში კიდევ მეტად შეამცირებს. ამასთან, როგორც ბატონმა კახა კუკავამ განაცხადა, „თავისუფალი საქართველო“ მზადაა ითანამშრომლოს ქვეყანაში არაბრენდირებულ აფიაქებთან და სამედიცინო პრეპარატები შეძენის ფასად მიაწოდონ, ოღონდ იმ პირობით, რომ ისინი თავიანთი მხრივ მომხმარებლებს მათ ხელმისაწვდომ და არა „მახრჩობელა“ ფასად მიაწვდიან. მომავალში კი მსგავსი აფთიაქები ქვეყნის რეგიონებშიც გაიხსნება.

ოთარ ტურაბელიძე

აჭარა პარიზის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე

აჭარის ტურისტულ პოტენციალს პარიზის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე ეცნობიან. მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს, საქმიანი ტურიზმის გამოფენაზე რეგიონს პოპულარიზაციას აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ტურიზმის ეროვნული ადმინიტრაციისა და ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად უწევს. საქართველოს სტენდთან ვიზიტორებს საშუალება აქვთ, ქართული ღვინო და ჩურჩხელა დააგემოვნონ, ასევე დეტალური ინფორმაცია მიიღონ აჭარაში და, ზოგადად, საქართველოში მოგზაურობის შესახებ. გამოფენას ესწრება აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე თინათინ ზოიძე, რომელმაც გამოფენის ფარგლებში საქმიანი შეხვედრები გამართა საერთაშორისო მედიაპლატფორმების, ტურისტული და სარეკლამო კომპანიების წარმომადგენლებთან.

„ჩვენი ქვეყნისა და რეგიონის პოპულარიზაციისთვის მნიშვნელოვანია პარიზის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მონაწილეობა. მთელი მსოფლიოდან ტურიზმის ბიზნესის მთავარი

მოთამაშეები აქ არიან წარმოდგენილები, რაც საქმიანი ურთიერთობების დამყარებისა და ურთიერთთანამშრომლობის განხორციელებისთვის შესანიშნავი შესაძლებლობაა. ჩვენ სამომავლო თანამშრომლობის მიზნით საქმიანი შეხვედრები გავმართეთ როგორც საერთაშორისო მედიაპლატფორმების, ისე ონლაინ ტურისტული პორტალების, სააგენტოებისა და სარეკლამო კომპანიების წარმომადგენლებთან, მათ შორის მსოფლიოში ტურისტული ტენდენციებისა და რეკომენდაციების განსაზღვრის კუთხით უმსხვილესი პორტალის Tripadvisor-ის წარმომადგენელთან, რომელთანაც რეგიონის წარმოჩენის მიზნით აქტიურად ვგეგმავთ თანამშრომლობას,“ — განაცხადა აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარემ თინათინ ზოიძემ.

ამერიკელი მწარმოებლის მიერ უსაფრთხოების მოთხოვნათა აშკარა დარღვევის შედეგად მოხდა, — წერს The Guardian. კომპანიას მოუწევს უზარმაზარი კომპენსაციების გადახდა როგორც დაღუპულების ნათესავებისთვის, ასევე ავიაგადამზიდავებისთვის, რომლებსაც გარკვეული დროის განმავლობაში 737 MAX-ს ექსპლუატაციაზე უარის თქმა მოუწიათ. 737 MAX-ის მთავარი კონკურენტი მსოფლიო ბაზარზე ევროპელი მწარმოებლის ლაინერი A320-ია.

ტარიფები ფორმალურად მსო-ში, სავარაუდოდ, 14 ოქტომბერს დამტკიცდება და 18 ოქტომბერს ამოქმედდება, — ნათქვამია უწყების ინფორმაციაში. ის ევროპელ მწარმობლებს წელიწადში 7,5 მილიარდი დოლარი დაუჯდებათ, რაც მსო-ს ისტორიაში ტარიფების ყველაზე მსხვილი მოცულობაა.

აშშ-მა ტარიფები დაუწესა ასობით ცნობილ ევროპულ საქონელს

25%-მდე მოცულობის ტარიფები დაწესდა რამდენიმე ასეულ საქონლის ტიპზე (ძირითადად, კვების და სასმელ პროდუქტებზე) სხვადასხვა ევროპული ქვეყნიდან — როგორც ცალკე აღებულ პროდუქტზე, ასევე პროდუქტთა ჯგუფზე. ყველაზე მეტად სანქციებმა უნდა დააზარალოს ის ქვეყნები, რომლებიც Airbus-ის სუბსიდირებაზე ფულს გასცემდნენ. ესენია, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ესპანეთი.

გთავაზობთ იმ ევროპული საქონლის არასრულ სიას, რომელსაც აშშ-მა ტარიფები დაუწესა:

10%-იანი ტარიფი

თვითმფრინავები;

25%-იანი ტარიფი

დიდი ბრიტანეთი

ირლანდიური და შოტლანდიური ვისკი, შალის სვიტერები, შალის კოსტიუმები

გერმანია

ყავა, ნაჯახები და დანები; მიკროტალღოვანი ღუმელები

დიდი ბრიტანეთი და გერმანია

ბისკვიტები და ვაფლები; წიგნები

დიდი ბრიტანეთი, გერმანია და ესპანეთი

გაყინული ღორის ხორცი, ყველი, ზეითუნის ზეთი, ლიქიორი

დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ესპანეთი და საფრანგეთი

ღვინო, ზეთისხილი

ევროკავშირის ყველა ქვეყანა

ყველი, ღორის ფილე, ღორის სოსისი, კარაქი, იოგურტი, ხილი, ბალი, მოლუსკი, ბოსტნეულის წვენები (ტომატის გარდა).

სურსათის იმპორტიორებს აშშ-ში მოლოდინი აქვთ, რომ ტარიფები სერიოზულად დააზიანებს ბიზნესისთვის კრიტიკულ საშობაო გაყიდვების პერიოდს. სფეროს წარმომადგენლები უკვე ჩივიან, ყველის, სასმელების გაყიდვებთან დაკავშირებულ ზარალზე და ამ საქონლის იმპორტიორთა ბიზნესის დანაკარგებზე. „ეს ტარიფები ძალიან დაასუსტებს და შესაძლოა, გაანადგურებს კიდეც ბევრ მცირე და საშუალო საოჯახო საწარმოს, რომლებსაც ეს საქონელი აშშ-ში გაქვთ“, — უთხრა Reuters-ს სასმელების იმპორტიორთა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტმა რობერტ ტობიასენმა.

ინვესტორებს ახალი კრიზისის ეშინიათ

ახალი სავაჭრო ომის შესახებ ცნობებმა კიდევ უფრო გააძლიერა ინვესტორების შიში მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივასთან დაკავშირებით — განასაკუთრებით აშშ-ჩინეთის სავაჭრო ომის გაგრძელებისა და „ბრექსიტის“ ფონზე.

2 ოქტომბერს მსოფლიო ბირჟები ბოლო თვეების განმავლობაში ყველაზე დიდი ვარდნით დაიხურა. ამერიკული ბირჟის ინდექსი Dow Jones ორი დღის განმავლობაში 3%-ით შემცირდა, აჩვენა რა ყველაზე ცუდი კვარტალის დასაწყისი 2008 წლის შემდეგ. ამერიკული S&P 500 დაეცა 1,8%-ით, ხოლო Nasdaq — 1,6%-ით. ლონდონის ბირჟის FTSE 100-ის ინდექსი შემცირდა 3,2%-ით — ეს ყველაზე ძლიერი ვარდნაა 2016 წლის იანვრის შემდეგ. მათი ბედი გაიზიარეს აზიურმა ბირჟებმაც — Nikkei ტოკიოში დაეცა 2%-ით, ხოლო ავსტრალიურმა ASX200 დაკარგა 2,2%, — წერს The Guardian-ი.

თავისთავად სავაჭრო დაპირისპირება აშშ-სა და ევროპას შორის პირველი წელი არ გრძელდება. თუმცა დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის დროს მისმა პოლიტიკამ „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“ ბრძოლა მკვეთრად გაამწვავა. მეტიც, ტრამპმა ევროკავშირი დაახასიათა, როგორც „ჩინეთზე უარესი, უბრალოდ უფრო პატარა“ და ევროპას საიმპორტო ავტომობილებზე მტკივნეული ტარიფების შემოღებით დაემუქრა.

იმავდროულად, ევროპელებს შეუძლიათ ტრამპს კიდევ უფრო მტკივნეული ტარიფებით უპასუხონ მსო-ს საშუალებით, — წერს France 24 2005 წელს ორგანიზაციის მიერ აღძრული საქმის განხილვის დროს, ევროკავშირი ამტკიცებდა, რომ 1989-2006 წლებში Boeing-მა ამერიკის ხელისუფლებისგან 19,1 მილიარდი დოლარის სუბსიდია მიიღო. რამდენიმე იურიდიული წარმატების შემდეგ ევროკავშირმა მსო-ს მიმართა და სთხოვა 12 მილიარდი დოლარის მოცულობის ამერიკული საქონლის წინააღმდეგ საჯარიმო სანქციების ამოქმედების უფლება მიეცა. მსო, როგორც ჩანს, ამ საკითხს დადებითად გადაწყვეტს დაახლოებით ექვსი თვის შემდეგ, თუმცა ტარიფების მოცულობას შეამცირებს.

ვალების ხაფანგი საქართველოსთვის

რა ეშველება მომავალ თაობას?

საგარეო ვალი **უკვე დიდ საფრთხეს უქმნის ქვეყანას. იგი არათუ არ ემსახურება ქვეყნის ეკონომიკას და ბიზნესს, არამედ პირიქით, უკან სწევს მას.**

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 18.2 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტალის მშპ-ს 113.2 პროცენტია.

2019 წლის მეორე კვარტალში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 385.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. აქედან, ოპერაციული ცვლილებების გამო 421.7 მლნ აშშ დოლარით, ფასის ცვლილებების გამო – 24.3 მლნ აშშ დოლარით და სხვა ცვლილებების გამო – 8.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. იმავდროულად, საკურსო ცვლილებების გამო ვალი 69.5 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. ეროვნული ბანკის მონაცემებით, სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 7.5 მლრდ აშშ დოლარი, რაც მშპ-ს 46.9 პროცენტია, აქედან სამთავრობო სექტორის ვალია 5.4 მლრდ აშშ დოლარი, ეროვნული ბანკის ვალდებულებები - 415.5 მლნ აშშ დოლარი, ხოლო სახელმწიფო საწარმოების ობლიგაციები და სესხები, შესაბამისად, 826.4 მლნ აშშ დოლარი.

საბანკო სექტორის საგარეო ვალი 4.4 მლრდ აშშ დოლარით განისაზღვრა. სხვა სექტორების საგარეო ვალი – 4.7 მლრდ აშშ დოლარით და კომპანიათაშორისო ვალი – 3.3 მლრდ აშშ დოლარით.

საგარეო ვალი მკვეთრად იზრდება მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვითაც. 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით ქვეყნის საგარეო ვალი ისტორიულ მაქსიმუმზე იქნება. გაისად სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა 22 681 700 000 ლარის ოდენობით განისაზღვრება. ეკონომიკის დოქტორი **იოსებ არჩვაძეც** გაზრდილ საგარეო და საშინაო ვალს გამოეხმაურა. საგარეო ვალის აღება საქართველოს მძიმე ტვირთად აწვება, ამიტომ ხელისუფლებაში მოსულმა ძალამ მის მიერ აღებული საგარეო ვალის მოცულობა მთლიანად უნდა დაფაროს.

„საქართველო არ არის გამონაკლისი იმ ქვეყნების ჩამონათვალში, რომლებიც სახელმწიფო ვალს იღებენ. ბუნებრივია, აღნიშნული ვალი მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვება. შესაბამისად, ქვეყნის სათავეში მყოფ ხელისუფლებას მის მიერ აღებული ვალის დაფარვის ვალდებულება უნდა გააჩნდეს. ხელისუფლებას აღებული ვალის გარდა, მასზე დარიცხული პროცენტების გადახდაც უწევს, რაც დამატებითი ტვირთია.

საქართველოს ვალზე საუბრისას უნდა გამოვყოთ ორი მომენტი. ის, რაც სახელმწიფოს აქვს აღებული ეროვნულ ბანკთან ერთად და მერე – საქართველოს ბიზნესსტრუქტურებისა და კომერციული ბანკების მიერ აღებული ვალი. თუ ამ თანაფარდობას ავიღებთ, მთელი ქვეყნის ვალში სახელმწიფოს წილი, დაახლოებით, 41%-ია, დანარჩენი კერძო სტრუქტურებზე მოდის“, – ამბობს იოსებ არჩვაძე.

ბექა დანელია

რა სახსრებით ვისტუმრებთ უზარმაზარ სახელმწიფო ვალს?!

„ხელისუფლებას პენსიებისა და ხელფასების ზრდა უფრო ადრეც შეეძლო. **ხელისუფლება თანხებს ისე არაეფექტურად განკარგავს, რომ სჯობს ბიუჯეტის მთლიანი ნაწილი ხელფასებისა და პენსიების გაზრდას მოხმარდეს“,** – ამის შესახებ ეკონომიკის ექსპერტმა **აკაკი ცომაია**მ „2020NEWS“-თან საუბრისას განაცხადა.

– ბატონო აკაკი, „ქართულმა ოცნებამ“, რომელსაც ხელისუფლებაში ყოფნის მეშვიდე წელი შეუსრულდა, 2012 წელს სხვადასხვა მიმართულებით ბევრი დაპირება გასცა, რომელთა შორის ერთ-ერთი ეკონომიკურ განვითარებას შეეხებოდა. მეშვიდე წლისთავზე ხელისუფლების დაპირებები შესრულებულია?

– 2012 წელს „ქართულმა ოცნებამ“ ისეთი ეკონომიკური დაპირებები გასცა, რომ მისი შესრულება თავიდანვე ცხადი იყო, რომ ვერ შესრულდებოდა. თუ 2012 წლის ეკონომიკურ დაპირებებს გავიხსენებთ, მაშინ დავინახავთ, რომ მმართველი პარტიის მიერ აბსოლუტურად არარეალისტური დაპირებები გაიცა. მაგალითად, ელექტროენერგიისა და გაზის ტარიფების განახევრება. ის, რომ მეოთხე წელს საოცარი ეკონომიკური წელი გვექნებოდა. უფასო ფული რომ გვექნებოდა და მრავალი სხვა.

არა თუ ამ მიმართულების შესრულებით წავიდა „ქართული ოცნება“, არამედ ლარი გაუფასურდა უკიდეგანოდ. ინფლაციური პროცესები საკმაოდ სწრაფი ტემპით მიდის და შემოსავლების ასიმეტრიული განაწილება სახეზეა. სახელმწიფო სექტორში განხორციელებული აქტივობები კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან გაკეთებული სამუშაოები, ძირითადად, უხარისხოა. გარდა ამისა, სახეზეა საგადასახადო შემოსავლებით მიღებული რესურსების არაეფექტიანი, უყაირათო გამოყენება და ფლანგვა.

– ბიუჯეტის კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფო ვალის მოცულობა 2020 წლის ბოლოსთვის არაუმეტეს 22 681.7 მილიარდი ლარით განისაზღვრება, რაც მეტყველებს იმაზე, რომ საგარეო თუ საშინაო ვალი კოლოსალური თანხებით იზრდება. ამ თანხების გასტუმრების რესურსი რომელიმე ხელისუფლებას ექნება?

– ეს თანხა გასტუმრებით უნდა გაისტუმროს საზოგადოებამ, რომელიც იხდის გადასახადებს. მე ვერ დავინახე ვერც ერთი დოკუმენტი და ვერ ვნახე ვერც ერთი ანალიზი იმისა, თუ რა იქნება აღებული ვალის ეფექტიანობა, რას მოგვიტანს საგარეო ვალი მომავალში და რა სახსრებით ვისტუმრებთ მას. მსგავსი დოკუმენტი არ არსებობს და ზეპირად ფანტაზიების განვითარება არასწორია. ბუნებრივია, ამ თანხის გასტუმრების რესურსი ხელისუფლებას არ გააჩნია.

– საქსტატის მონაცემებით, 2019 წლის სექტემბერში წლიური ინფლაციის დონემ 6.4%-ს მიაღწია, რაც 2017 წლის შემდეგ არ ყოფილა. აღნიშნულის ზრდის ტენდენცია კვლავ გაგრძელდება?

– ინფლაციის ზრდა ლარის კურსმა განაპირობა. ბევრი ეკონომისტი, მათ შორის, მე ხშირად მთავრობასა და ცენტრალურ ბანკს უმოქმედობის გამო ვაკრიტიკებდით. ლარის კურსის ასეთი გაუფასურება, საბოლოო ჯამში, აისახება ინფლაციაზე. როცა ლარი უფასურდება, ინფლაციური წნეხი იზრდება. ინფლაციის პარალელურად ადამიანების განკარგვადი შემოსავალი მცირდება, განსაკუთრებით იმ ადამიანებისა, რომლებსაც აქვთ სესხები უცხოურ ვალუტაში. მომავალში პროდუქტებზე ფასები გაიზრდება თუ არ გაიზრდება, დამოკიდებულია იმაზე, შეძლებენ თუ არა გამყიდველები უფრო მაღალ ფასად გაყიდონ იმავე რაოდენობის პროდუქცია.

– ხელისუფლებამ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე პენსიებისა და გარკვეულ კატეგორიაში ხელფასების ზრდა დააანონსა. მმართველ პარტიას, მაგალითად, ერთი-ორი წლით ადრე მოქალაქეებისთვის მძიმე ყოფის შემსუბუქება არ შეეძლო ?

– ხელისუფლებას პენსიებისა და ხელფასების ზრდა უფრო ადრეც შეეძლო. ბუნებრივია, მთავრობის ეს დანაპირები არჩევნებს უკავშირდება. ხელისუფლება თანხებს ისე არაეფექტურად განკარგავს, რომ სჯობს ბიუჯეტის მთლიანი ნაწილი ხელფასებისა და პენსიების გაზრდას მოხმარდეს. პრობლემაა ისიც, რომ სახელმწიფო შემოსავლები ასიმეტრიულად საბიუჯეტო ასიგნებებში და ტენდერებში გვაქვს პრივილეგირებული. მონოპოლისტური გარიგებებიც ამას ადასტურებს. ასიმეტრიული განაწილება ნიშნავს იმას, რომ ვიღაც უკიდეგანოდ მდიდრდება, ვიღაც კი ღარიბდება.

ეკატერინე ზარნაძე

ქუთაისურმა ტანსაცმელმა მსოფლიო ბაზარზე გააღწია!

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ბენეფიციარმა „სამკერვალო კომპანია იმერმა“ წარმატებით გაიარა დიდი ბრიტანეთის უმსხვილესი ტანსაცმლის მწარმოებლის, მსოფლიო ბრენდის „მარკს ენდ სპენსერის“ „Marks & Spencer“ აუდიტი და ოფიციალური მიმწოდებელი გახდა.

კომპანიის მიერ შეკერილი ტანსაცმელი სხვადასხვა ქვეყნებში, ცნობილი ბრენდის M&S მაღაზიებში, იარლიყით Made in Georgia (დამზადებულია საქართველოში) გაიყიდება. პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული მიმართულების ფარგლებში, კომპანიამ ქუთაისში, ახალი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედება შეძლო, რომლის შედეგადაც გაიზარდა წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტი და რაოდენობა. საწარმოში ამჟამად დასაქმებულია 400-მდე ადამიანი.

შპს „სამკერვალო კომპანია იმერი“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, ფინანსური, მხარდაჭერით ისარგებლა, რაც იმას

ნიშნავს, რომ პირველი 2 წლის განმავლობაში სესხის პროცენტის თანადაფინანსებას სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ახორციელებდა. პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 800 ათას ლარზე მეტს შეადგენს.

კახეთში რთველი დასკვნით ეტაპზეა, ყურძნის მოსავლის დასაბინავებლად რაჭა ემზადება

4 ოქტომბრის მონაცემებით, კახეთის რეგიონში 223 ათასი ტონა ყურძენია გადამუშავებული: 133 ათასი ტონა რქაწითელი, 71 ათასი ტონა საფერავი, 5 ათასი ტონა კახური მწვანე და დანარჩენი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია. კახეთში ღვინის საწარმოებს მოსავალი 21 ათასამდე მევენახემ ჩააბარა. კახეთში რთველი უკვე დასკვნით ეტაპზეა. მოსავლის დაბინავება აქტიურად ამ დროისთვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს. 5 ოქტომბერს რთველის საკოორდინაციო შტაბი იხსნება ამბროლაურში. ღვინის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები ადგილზე უკვე მობილიზებულები არიან, რომ რთველი რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში შეუფერხებლად და ორგანიზებულად ჩატარდეს.

დაინტერესებულ პირებს რთველთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შეუძლიათ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე – 1501.

მანამ ვიაროთ, ვიდრე მიზანს არ მივაღწევთ!

მიუხედავად პოლიტიკური უამინდობისა...

27 სექტემბერს საქართველომ კვლავ აღნიშნა სოხუმის დაცემა. საქართველოს ხელისუფლებამ ისე, როგორც თბილისში დაბინავებულმა აფხაზეთის ხელისუფლებამ, პოლიტიკოსებმა, საზოგადოების წარმომადგენლებმა, დაღუპულთა ნათესავებმა გვირგვინებით შეამკეს აფხაზეთში დაღუპული მეომრების მემორიალი. სოხუმის დაცემიდან მოყოლებული უდიდესი ტკივილით ვიხსენებთ ჩვენი ქვეყნის უმძიმეს დღეს, რომელსაც მოჰყვა ტერიტორიული მთლიანობის რღვევა.

დღევანდელი გადასახედიდან კარგად ჩანს დამოუკიდებლობაბოძებული გამოუცდელი ქვეყნის მცდარი ნაბიჯები, გადადგმული საკუთარი თავისა და ხალხის წინააღმდეგ. და რაც არ უნდა ამტკიცონ შევარდნაძის დროინდელმა სახელმწიფო მოხელეებმა, რომ თბილისს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, თუ არა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჯარით შესვლისა, დაუჯერებელია.

საქართველოში დაბრუნებულმა საბჭოთა კავშირის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა შევარდნაძემ, რომელსაც საქართველოში ყოვლის მცოდნედ, ლამის გენიოსად მოიხსენიებდნენ, საბედისწერო ნაბიჯი გადადგა ისეთი, რომლის გამოსწორება თითქმის შეუძლებელია.

ვერავითარ გამართლებას ვერ მოვუძებნით კიტოვანისა და იოსელიანის „მხედარმთავრობით“ სახელდახელოდ შეყრილი ლაშქრის და არა ჯარის, აფხაზეთში რკინიგზის დასაცავად გაგზავნას. იმჟამინდელ ხელისუფლებაში, ასევე ნაუცბათევად შეყრილში, ერთი ჭკუათამყოფელიც არ გამოჩნდა, ხმამაღლა ეთქვა, აფხაზეთში შეჭრისგან თავი შევიკავოთო.

ყველა რატომღაც დარწმუნებული იყო, ქართველთა უძლეველობაში, თანაც ვის წინააღმდეგ — ერთი ციდა აფხაზეთის! ამ ერთი ციდას მიერ მოყენებული ჭრილობა ხომ არ არის თავის მართლების საბაბი, დაბეჯითებით რომ ვიმეორებთ — აფხაზეთში რუსეთი გვეომებოდაო?

დიახ! აფხაზთა მხარეს რუსიც იყო, სომეხიც, უკრაინელიც, ჩრდილო კავკასიის ხალხთა მრავალი წარმომადგენელიც, მაგრამ ეს არ იყო რუსეთის არმია, რასაც 2008 წლის ცხინვალის ომში ჰქონდა ადგილი. გვიჭირს იმის თქმაც, რომ თითქმის 70 წლის განმავლობაში, ერთად ცხოვრების პირობებში, ვერაფრით მოვახერხეთ ძირძველ აფხაზებთან საერთო ენის გამონახვა.

გაუჭირდა სტალინ-ბერიას გეგმით აფხაზეთში ჩასახლებულ ქართველობას აფხაზებთან ერთად ერთიანი, საერთო სახლის აგება, იშვიათი გამონაკლისის გარდა. და როდესაც საზარელმა საომარმა ზარმა ჩამოჰკრა, იქ მყოფმა ქართველობამ პირი ისევ საქართველოსკენ იბრუნა, რითაც წყალს გაატანეს ბრძენ წინაპართა ნაღვაწი.

აფხაზეთიდან საქართველოში იძულებით ჩამოსახლებულმა 300000-მა ლტოლვილმა უმძიმესი დარტყმა მიაყენა ქვეყნის ჩამოუყალიბებელ, უსუსურ ეკონომიკას, სოციალურ ყოფას. იძულებით ჩამოსახლებულთა პრობლემა ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია, ხალხი დროებით საცხოვრებლებშია განთავსებული — უმძიმეს პირობებში, საკუთარი თავის ანაბარად მიტოვებული.

1993 წლიდან მოყოლებული 2008 წლის აგვისტომდე ნიადაგ ვისმენდით შევარდნაძის, შემდეგ სააკაშვილის დაპირებებს — დაკარგული ტერიტორიების უკან დაბრუნების თაობაზე, ისე როგორც ლტოლვილების აფხაზეთში დაბრუნებაზე, თუმცა ამაოდ.

შევარდნაძის დროს სისტემატურად მიმდინარეობდა აფხაზებთან მოლაპარაკება, სხვადასხვა დონეზე და ფორმატში, თითქოს იმედის ნაპერწკალიც გაჩნდა, მაგრამ ხელისუფლებამ ვერა და ვერ გარისკა შერიგებისკენ საჭირო ნაბიჯის გადადგმა.

მას აღიზიანებდა აფხაზთა მიერ გახმიანებული სახელმწიფოს კონფედერაციული მოწყობა. კონფედერაციის წინააღმდეგ დაჟინებით ილაშქრებდა ქართული პოლიტიკური ელიტაც, განსაკუთრებით „ვარდების რევოლუციის“ შედეგად ხელისუფლებაში მოსული ნაცმოძრაობა, რომელმაც თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკით არათუ აფხაზეთი, არამედ საკუთარი თავიც დაგვავიწყა.

ნაცურმა ხელისუფლებამ და მისმა „ბელადმა“ სააკაშვილმა, ჩვენგან წასულ ყოფილ ავტონომიებთან ურთიერთობაზე უარი თქვა და მათი დაბრუნება მხოლოდ ძალას დაუკავშირა, რითაც 1992 წელს დაწყებულ ავანტიურას თავისი დაუმატა ცხინვალის ომის გაჩაღებით. რაც შევარდნაძემ ფაქტობრივად დაკარგა, სააკაშვილმა იურიდიულად განამტკიცა.

ასე და ამრიგად, ორი „დიდი პოლიტიკოსის“ მოქმედებით საქართველომ საკუთარი ტერიტორიების 20% დაკარგა, რომლის დაბრუნებას მხოლოდ სიზმარში თუ ვიოცნებებთ.

პესიმიზმის საფუძველს დღევანდელი ხელისუფლების უმოქმედობაც იწვევს. მას რატომღაც სჯერა, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დასავლელი პარტნიორების დახმარებით რუსეთზე ზემოქმედებით მოხდება.

ასე აგვარებენ 1993 წლიდან დაწყებული. დრო კი მიდის, აფხაზებსა და აფხაზეთს ვშორდებით. 1993 წელს დაბადებულ და ზრდასრულ ახალგაზრდობას, რომელსაც აფხაზეთი თვალითაც არ უნახავს, არ უგრძნია ამ შესანიშნავი მხარის სიკეთეები, თვალი არ შეუვლია უნიკალური ბუნებისთვის, არ გარუჯულა იქაურ ზღაპრულ პლაჟებზე, არ შეეხებია მოძმე აფხაზთა საუკუნოვან ტრადიციებს, არავითარი ნოსტალგია არ გააჩნია აფხაზეთის მიმართ.

საქართველოს ხელისუფალთა წყალობით, მათი უმოქმედობით და დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად მხოლოდ დასავლელების მოიმედეობით, იმასაც ვერ ვახერხებთ, ინფორმაცია მივაწოდოთ საქართველოს მოსახლეობას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პროცესებზე. განა რთულია (ცხადია, ორმხრივი შეთანხმებით) იქაური ამბების ჩვენს რომელიმე ტელეარხზე გაშუქება, თუნდაც იქაური ჟურნალისტების მიერ?

რატომ ვიკავებთ თავს, ვისი ან რისი გვეშინია?

რუსული ტელეარხებიდან ვიგებთ სოხუმ-ცხინვალის ამბებს. განა ამ ხნის განმავლობაში არ შეიძლებოდა ჟურნალისტების ურთიერთვიზიტების ორგანიზება? აფხაზი და ოსი ჟურნალისტებისთვის იმის ჩვენება — რანი ვართ დაშორების შემდეგ?

იოლია ერთი და იმავეს ლაპარაკი — „სეპარატისტები“, ეგრეთ წოდებული ხელისუფლება, ე.წ. პრეზიდენტი, მინისტრი და ა.შ., ან დაბეჯითებით იმის მტკიცება, თუ ნიადაგ როგორ ირღვევა იქ ადამიანის უფლებები.

აღნიშნული არა მარტო თავის მოტყუებაა, არამედ ქვეყნის მოტყუებაც არის. სხვას ვერაფერს ვიტყვი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის **ციხელაშვილის** მოხსენებაზე, რომელიც მან სექტემბერში პარლამენტში წაიკითხა.

მინისტრის განმარტებით, ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის შემდეგ ისეთი სასიამოვნო და ტკბილი ურთიერთობა ჩამოყალიბდა აფხაზებთან და ოსებთან, უკეთესს რომ ვერ ინატრებ, რაც თურმე ხელისუფლების სწორი პოლიტიკის შედეგი ყოფილა. ციხელაშვილს არც დასავლელი „პარტნიორები“ დაავიწყდა და იმათაც გუნდრუკი უკმია. თურმე დასავლელთა „მუდმივმა და ურყევმა“ მხარდაჭერამ მიგვიყვანა ქართველის და აფხაზის ჩახუტებამდე.

ამ ტყუილის მოსმენამ არათუ დამაფიქრა, ლამის მოთმინებიდან გამომიყვანა, მაგრამ ამაზე უარესი თქვა შემდეგ: „ოკუპაციისა და იზოლირების პოლიტიკა, რომლითაც რუსეთი ცდილობს, აფხაზეთი და სამაჩაბლო მოსწყვიტოს სამყაროს გრძელვადიან მომავალში, შედეგიანი ვერ იქნება და აბსურდამდე მივა, რადგან შეუძლებელია, მავთულხლართებით შეაკავო ადამიანები, როცა ისინი ბარიერს მიღმა (ანუ საქართველოში) პროგრესს და უფრო კარგი მომავლის პერსპექტივას ხედავენ“.

რაც თავი მახსოვს, აფხაზები სულ მუდამ რუსეთისკენ იყურებოდნენ. აფხაზი ახალგაზრდები რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდნენ, აფხაზურთან ერთად შესისხლხორცებული ჰქონდათ რუსული და არა ქართული ენა. ერთად ცხოვრების პერიოდშიც ქართველები და აფხაზები ერთმანეთში რუსულად ლაპარაკობდნენ — იშვიათი გამონაკლისის გარდა. დავიჯერო, დღევანდელი აფხაზი ისეა მოხიბლული საქართველოს წინსვლით და წარმატებით, რომ აქ ყოფნა უნდა, მაგრამ ვერ ახერხებს რუსული მავთულხლართების გამო?

28 წლის განმავლობაში რა ისეთ წარმატებას მიაღწია საქართველომ, რომ აფხაზის ინტერესი გამოიწვია?!.

ეს ჩვენ ვერ ვეცნობით აფხაზეთის ამბებს, თორემ ისინი საქმის კურსში არიან — რა ხდება აქ. რა დემოკრატიას ვაშენებთ, რა „საამური“ ცხოვრება შევქმენით, ხალხი რომ ვაიძულეთ, ლუკმაპურის საძებნელად უცხოეთში გადახვეწილიყო, ვინც ვერ მიდის, ურნებშია ჩაყუდებული.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან რუსეთი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით უკეთ გამოიყურება, რაც კარგად იცის აფხაზმაც და ასეთ დროს საქართველოში ცხოვრება სწადია?

ტყუილი და თანაც ასეთი, რომ კარგის მომტანი არ არის — მმართველი პარტიის ყველა წევრმა უნდა იცოდეს. არც ერთმა მათგანმა თავს უფლება არ უნდა მისცეს, მოატყუოს საქართველოს მოსახლეობა.

ციხელაშვილის ნათქვამს აფხაზეთის ხელისუფლება გამოეხმაურა — დაცინვით და ჭკუის დარიგებით, ციხელაშვილმა აფხაზეთის ხსენებამდე სჯობს საკუთარ ქვეყანაში ჩაიხედოსო.

არანაკლები „მზრუნველობა“ გამოავლინა საქართველოს პრეზიდენტმა **სალომე ზურაბიშვილმა** აფხაზეთის მიმართ გაეროს მაღალი ტრიბუნიდან წარმოთქმულ სიტყვაში: **„მინდა, გავაფრთხილო მსოფლიო, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში არა მარტო ქართული, არამედ აფხაზური ენა განადგურების ზღვარზეა. აფხაზი ერის დემოგრაფიული მდგომარეობა კატასტროფულადაა შემცირებული. აფზახური ენის, იდენტობისა და ტრადიციების დაკარგვა მსოფლიოსთვის აუნაზღაურებელი დანაკარგი იქნება. ჩვენ ყველა უნდა გავერთიანდეთ, რათა დავიცვათ და გადავარჩინოთ ეს მდიდარი კულტურული მრავალფეროვნება“.**

აფხაზეთის დემოგრაფიაზე განგაშის ატეხა იმ ქვეყნის პრეზიდენტის მხრიდან, სადაც, ამ თვალსაზრისით, მართლაც რომ კატასტროფული მდგომარეობაა, რბილად რომ ვთქვათ, დიდი შეცდომაა, ისევე როგორც აფხაზური იდენტობის შენარჩუნება. ქართული იდენტობის პირწმინდა დამცველები ახლა აფხაზურის გადარჩენისთვის ვიღვწით? ვის სჭირდება ესოდენ ფალსიფიცირებული მზრუნველობა? ზურაბიშვილს შევახსენებ, რომ წელს საქართველოს 100-ზე მეტ სოფლის სკოლაში პირველი კლასი არ გახსნილა — პირველკლასელთა ნაკლებობის გამო.

სწორედ აფხაზურ ენას და იდენტობას რომ „ვიცავდით“ ერთად ცხოვრების ჟამს, იმიტომ შეგვაქცია ზურგი აფხაზებმა. უფრო საზრიანად რომ მოვქცეულიყავით, აფხაზეთიდან არ გამოვიქცეოდით.

მკითხველი ისე ნუ გამიგებს, თითქოს გაყრაში მარტო ჩვენ ვართ დამნაშავე, აფხაზებმაც შეიტანეს თავიანთი ნეგატიური წვლილი ამ საქმეში, მაგრამ ვინაიდან აფხაზებთან შედარებით მეტნი ვართ და საერთო ცხოვრების ცენტრად თბილისს მივიჩნევდით — მეტი მოგვეთხოვებოდა.

აფხაზები მცირერიცხოვან ერთა ჯგუფს მიეკუთვნება. ასეთთათვის ოდნავი ქილიკიც კი მათ მიერ შურაცხყოფად აღიქმება. აფხაზებს აღიზიანებთ ისეთი ოფიციალური განცხადებები, ყოველდღე რომ ტვინს გვიბურღავს — „დავიბრუნოთ აფხაზეთი“. ცხადია, ამ მოწოდებაში ძალისმიერი უფრო იგულისმება, ვიდრე სხვა რამ. ანდა თუნდაც „ოკუპირებული“ აფხაზეთი.

რატომ არ ვუკვირდებით ერთ რამეს — აფხაზეთი, აფხაზთა გაგებით, სულაც არ არის რუსეთის მიერ ოკუპირებული. ის ასეთად არ თვლის თავს. ის დამოუკიდებელი ქვეყანაა, რუსეთის და კიდევ რამდენიმე სახელმწიფოს მიერ აღიარებული, ქვეყანა, რომელიც ნიადაგ ატარებს ყველა დონის არჩევნებს, ქმნის მთავრობას, რომელსაც ჩვენ ეგრეთ წოდებულს ვუწოდებთ.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადავწყვიტოთ, გვინდა თუ არა აფხაზებთან და ოსებთან დალაპარაკება. და თუ გულწრფელად გვინდა — მოსკოვ-სოხუმ-ცხინვალის გზას დავადგეთ და, მიუხედავად პოლიტიკური უამინდობისა, მანამ ვიაროთ, ვიდრე მიზანს არ მივაღწევთ.

ომარ მარგველაშვილი,
საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოსა და რუსეთის დამსახურებული ინჟინერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი.
ტ. 599 158332

თუ „ნაცმოძრაობის“ დროს პატრიოტულ აღზრდაზე აქცენტები აღტაცების საგანი იყო, ახლა რატომ გახდა საქილიკო?

ᲐᲮᲐᲚᲬᲕᲔᲣᲚᲗᲐ **რეფორმის ფარგლებში თავდაცვის მინისტრი საქართველოს ყველა რაიონში თავდაცვის სამინისტროს ფრონტ ოფისების გახსნას გეგმავს, სადაც რეკრუტის, სამობილიზაციო სამსახურის და სხვა ფუნქციები ერთი ფანჯრის პრინციპით განთავსდება.** როგორც **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ** აცხადებს, მისი იდეა არის, რომ ერთ წელიწადში მაქსიმალურად სწრაფად მოაგვაროს ინფრასტრუქტურის პრობლემა ჯარის ნაწილებში და ამის შემდეგ, დაანონსებს წვევამდელების რეფორმას.

— არსებობს იდეა, რომ ყველა რაიონში გავაკეთოთ თავდაცვის სამინისტროს ფრონტ ოფისები — „ვემსახურები საქართველოს“ იდეის ქვეშ. ჩვენ ვფიქრობთ გაწვევის სამსახურის რეკრუტის, ასევე სამობილიზაციო სამსახურის ერთ სივრცეში მოქცევას.

ასევე, ჩვენ ჩავრთავთ საინფორმაციო ცენტრის ფუნქციას — ეს იქნება ერთი ფანჯრის პრინციპით მოქმედი, თანამედროვე, ევროპული სტანდარტების შესაფერისი ცენტრი, რომელიც, ამავდროულად, გაზრდის ჩვენი ჯარის პოპულარიზაციას და აამაღლებს ცნობადობას საზოგადოებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში.

მე მინდა, ამ პროცესში განსაკუთრებული ჩართულობა იყოს ბავშვების, ბაღის და სკოლის მოსწავლეების, რათა მათ ნახონ, რა ხდება რეალურად ჯარში. მინდა, რომ მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით ჩვენს სამინისტროში სრული გამჭვირვალობა იყოს. სრულად ჩავრთავ მედიასა და ყველა დაინტერესებულ პირს და ყველას ვაჩვენებ, თუ რას ვაკეთებთ და რის გაკეთებას ვგეგმავთ 2020 წელს“, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ღარიბაშვილის გეგმის მიხედვით, მომდევნო 10 წლის განმავლობაში 18-დან 50 წლამდე კაცები, დაახლოებით 785 000 ადამიანი გადაამზადოს და რეზერვი მოამზადოს. მან პარტია „გირჩის“ რელიგიურ ორგანიზაციას „ბიბლიური თავისუფლება“ სექტა უწოდა, სადაც ახალგაზრდებს მღვდელმსახურად აკურთხებენ, რის საფუძველზეც წვევამდელები სავალდებულო სამხედრო სამსახურს არ გადიან.

ღარიბაშვილის მიერ დაანონსებული ფრონტ-ოფისების გახსნა უკვე გახდა ოპონენტების ქილიკის საფუძველი, თუმცა for.ge-სთან საუბრისას უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი **ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲚᲐᲒᲐᲖᲘᲫᲔ** ოპონენტების საპასუხოდ აცხადებს, რომ თავდაცვის სფერო და სამხედრო პატრიოტული აღზრდა საქილიკო არ არის.

— როგორც ჩანს, საზოგადოებამ კარგად ვერ გაიგო ფრონტ ოფისის მიზანი, რა არის მისი დატვირთვა. თქვენ რას ფიქრობთ?

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲚᲐᲒᲐᲖᲘᲫᲔ: **სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რა დანიშნულება აქვს. რაც შეეხება ფრონტ ოფისებს — მისი ინგლისური თარგმანი არის — „წინა ოფისი“. ეს არის საზოგადოებასთან და ხალხთან მუშაობის კუთხით მუშაობა. „ბექ ოფისი“ არის იქ, სადაც, ძირითადად, ტექნიკური სამუშაო სრულდება. ამ შემთხვევაში ფრონტ ოფისს რა მიზანი აქვს, ზუსტად ვერ გავიგე. თუმცა თავისთავად ის, რომ მინისტრი რეზერვის სამსახურის და საყოველთაო თავდაცვის სამსახურის რეფორმას აპირებს, ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია.**

იგივე პატრიოტული აღზრდის მიმართულებით რომ კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგმება და, რომ მთელი ციკლი იქნება — ბაღი, სკოლა, უმაღლესი, ესეც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ტიპის ქვეყნისთვის. ძალიან მაინტერესებს, ის, რაც „ნაციონალურ მოძრაობის“ დროს აღტაცების საგანი იყო, როდესაც პატრიოტულ აღზრდაზე იყო მთელი აქცენტები გადატანილი, ახლა რატომ გახდა დაცინვის ობიექტი? წარმოუდგენელია, როდესაც ახალგაზრდა თაობის პატრიოტულ აღზრდაზე არის საუბარი, ეს ვინმეს მხრიდან დაცინვის საგნად იქცეს.

— რეფორმა რომელიც დააანონსა ღარიბაშვილმა, რამდენად სწორი და, ამავდროულად, აუცილებელია?

— ეს არის ნაბიჯებად გაწერილი რეფორმა. თვითონაც თქვა, რომ პრეზენტაცია შედგებაო. ჯერ ეს არის პრინციპები და ხედვა, რა პრინციპებსაც უნდა დაეფუძნოს. შემდეგ უკვე მოხდება სრულმასშტაბიანი სამხედრო რეფორმა. პრინციპების დონეზე ჩემთვის მისაღებია, მათ შორის — სამხედრო მრეწველობის კომპონენტი. ეს არა მარტო ჩვენი თავდაცვისთვის არის საჭირო და მნიშვნელოვანი, არამედ ეს შეიძლება, ეკონომიკის მნიშვნელოვან დარგადაც იქცეს, თუკი სწორად მივუდგებით. ამიტომ, ვერაფერს საქილიკოს ვერ ვხედავ.

— რეფორმა მნიშვნელოვანი და აუცილებელია, მაგრამ რამდენად განხორციელებადია ეს რეფორმა როგორც სამრეწველო, ასევე წვევამდელთან დაკავშირებით?

— გვჭირდება, მისაღებია, მაგრამ კონკრეტულად როცა გაიწერება რეფორმები, განხორციელების გზები უკვე ამის მერე გამოჩნდება. სხვადასხვა მიმართულებაა, სამხედრო მრეწველობა, სამხედრო განათლება, პატრიოტული აღზრდა. ამ მიმართულების პრეზენტაცია ცალ-ცალკე იქნება წარმოდგენილი, რომ ჩვენ ვიცოდეთ, რას ვლაპარაკობთ პრინციპებს მიღმა და გარდა ამისა, აუცილებელია გარანტიების ჩადება.

ეს არის ხანგრძლივვადიანი რეფორმა და არ უნდა დავუშვათ, რომ ყველა თავდაცვის მინისტრის ცვლილების დროს, ვისაც რა მოუვა თავში, იმის მიხედვით შეიცვალოს. თავდაცვის სფერო იმდენად მნიშვნელოვანი სფეროა ქვეყნისთვის, რომ შეუძლებელია ექსპერიმენტების ობიექტად ვაქციოთ! ამიტომ, რა ტიპის რეფორმები დაიწყება და რაზეც შეჩერდება ხელისუფლება, იმას უნდა მიჰყვნენ ბოლომდე.

სამხედრო მრეწველობა რომ დაიწყო სააკაშვილის დროს, ამას დიდი ზარ-ზეიმით შეხვდნენ. ვიცით, რა დონეზე იყო სამხედრო პატრიოტული განათლება, დიდი ზარ-ზეიმით შეხვდა მოსახლეობა და ხელისუფლებამ როგორ გააპიარა, ვიცით. ერთ-ერთი მთავარი კრიტიკის ობიექტი ეს ხელისუფლება იყო იმიტომ, რომ სწორედ სამხედრო პატრიოტული აღზრდა არ ჰქონდა.

ამ მიმართულებით დაიწყო ნაბიჯების გადადგმა და ისევ გახდა „დადგმული“ ქილიკის საფუძველი. როცა ასეთ თემებს ეხები, მარტო იმაზე არ უნდა ფიქრობდე, ვინ არის ხელისუფლებაში. უნდა ხვდებოდე, რომ ეს ეხება ქვეყნის უსაფრთხოებას და თავდაცვის ფუნდამენტს. ამიტომ, ცოტა ფრთხილად უნდა შეეხო ამ საკითხს. სხვა საქილიკო ვერაფერი მონახეს? თავდაცვის სფერო და სამხედრო პატრიოტული აღზრდა საქილიკო არ არის.

— როგორ ფიქრობთ, რამდენად დაგვიანებულია რეფორმა, რომელიც ღარიბაშვილმა წარმოადგინა?

— ცუდი არის ის, რომ ყველა თავდაცვის მინისტრი ახალ რეფორმას აანონსებს და არც ერთი არ მიდის ბოლომდე. თავდაცვის სფერო და ქართული ჯარი დაუმთავრებელი ექსპერიმენტების ობიექტად იქცა. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის ეს არის კატასტროფა. ამიტომ ვამბობ, რომ, თუ რამე დაიწყება, უნდა დაიწყოს გაგრძელების და ბოლომდე აღსრულების გარანტიით.

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲫᲐᲠᲩᲐᲕᲐ

თავდაცვის ძალების მეთაური ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეს ესაუბრა

ᲜᲐᲢᲝᲡ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს (NAC) ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ჩაჩიბაია ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეს, ავიაციის მთავარ მარშალს, სერ სტიუარტ ფიჩს შეხვდა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურმა ალიანსის უმაღლეს სამხედრო პირს თავდაცვის უწყებაში გატარებული და მიმდინარე რეფორმების შესახებ ესაუბრა.

საუბარი ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) განხორციელების პროცესში მიღწეულ პროგრესსა და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ეგიდით ავღანეთში მიმდინარე „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში საქართველოს წვლილს შეეხო.

მხარეებმა თავდაცვის ეროვნულ სტრატეგიაზეც ისაუბრეს და ნატოსთან გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობის შესაძლო სფეროები განიხილეს.

პირველ კლასიკურ გიმნაზიაში დამსახურებული პედაგოგები გააცილეს!

თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში პედაგოგების გაცილების ცერემონია გაიმართა. საზეიმო ღონისძიება იმ 11 მასწავლებლისთვის მოეწყო, რომლებმაც მასწავლებლის ეროვნული ჯილდოთი ისარგებლეს. ისინი პენსიაში გიმნაზიის როგორც ახლანდელმა, ასევე ყოფილმა მოსწავლეებმა გააცილეს. პედაგოგებმა წითელ ხალიჩაზე გაიარეს, რის შემდეგაც კონცერტი გაიმართა. საზეიმო ღონისძიებას პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე და მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატი, ასევე საკრებულოს თავმჯდომარე და წევრები დაესწრნენ.

რუსულმა ავიაკომპანიებმა მილიონობით რუბლი იზარალეს!

საქართველოსთან გაუქმებული ავიამიმოსვლის შედეგად, რუსულმა ავიაკომპანიებმა მილიონობით რუბლის ოდენობით ზარალი ნახეს. ინფორმაციას „ეხო კავკაზა“ ავრცელებს. როგორც გამოცემა წერს, რუსულმა ავიაკომპანია „პობედამ“ ტრანსპორტის სამინისტროს წერილობით მიმართა, განისაზღვროს ვადები, თუ როდის შეძლებს კომპანია საქართველოსთან შეჩერებული ავიამიმოსვლის გამო კომპენსაციის მიღებას. გამოცემა „კომერსანტს“ ანონიმურმა წყარომ აცნობა, რომ „პობედამ“ 500 მილიონამდე რუბლის ზარალი მიიღო.

ავიამიმოსვლის შეჩერებამდე, ბათუმსა და თბილისში ავიარეისებს, „პობედას“ გარდა, „აეროფლოტი“, „S7“, „ურალის ავიახაზები“, „რედ ვინგსი“ და „სმარტავია“ ახორციელებდნენ. როგორც „S7“-ში აცხადებენ, კომპანიამ 600 მილიონამდე რუბლის ოდენობით ზარალი ნახა. კომპანია „რედ ვინგსმა“ კი, სულ მცირე, 200 მილიონი რუბლით იზარალა. რუსეთმა საქართველოსთან ავიამიმოსვლა მიმდინარე წლის 8 ივნისს შეაჩერა. მას შემდეგ, რაც საქართველოში რუსეთის დუმის დეპუტატ სერგეი გავრილოვის მიერ პარლამენტის სპიკერის სავარძლის დაკავება გააპროტესტეს. ინციდენტს თბილისში მასშტაბური საპროტესტო აქცია და პარლამენტის სპიკერის გადადგომა მოჰყვა.

აბასთუმანთან ერთად უნიკალურ ობსერვატორიასაც ბედმა გაუღიმა!

ყანობილის მთავგე მალე ობსერვატორიის ახალი შენობა აღიმართება, ხოლო აბასთუმნის განახლება-რეკონსტრუქციის ავტორი ბიძინა ივანიშვილი ამ მსოფლიო მნიშვნელობის დაწესებულებას ახალ ტელესკოპს უანგაროდ შეუძენს, რომლის ღირებულება მინიმუმ 22 მილიონი დოლარი იქნება!



„აბასთუმნის ობსერვატორიის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისგან გამოყოფის შესახებ ერთი კვირის წინ შევიტყვეთ, მანამდე არაფერი ვიცოდით“, — ეუბნება „რადიო თავისუფლებას“ **ობსერვატორიის დირექტორი მაია თოდუა.**

სწორედ ერთი კვირის წინ შედგა განათლების სამინისტროში შეხვედრა, სადაც ობსერვატორიის თანამშრომლებს აცნობეს, რომ მთავრობის დადგენილების საფუძველზე, ობსერვატორია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გამოეყოფა და ცალკე საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდება. დაგეგმილი რეორგანიზაციის მიზანი კი ობსერვატორიის შემდგომი განვითარებაა, განუმარტეს მათ:

„შეხვედრაზე ასევე ითქვა, რომ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან უნდა გაწყდეს კავშირი. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი პროცესები იყოს მჭიდრო კავშირში ერთმანეთთან. მინისტრის მოადგილე დაგვპირდა, რომ ეს ურთიერთთანამშრომლობა გაგრძელდება“.

აბასთუმნის ობსერვატორია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს სამართავად 11 წლის წინ, 2008 წელს, მაშინდელი მთავრობის ხელმძღვანელის, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის დადგენილების საფუძველზე გადაეცა.

მაია თოდუა ამბობს, რომ ამ ათი წლის განმავლობაში, სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებების გარდა, აღსანიშნავია, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა აღადგინა ასტრონომიის სწავლების პროცესი, რაც წლების განმავლობაში შეწყვეტილი იყო და საქართველოში ასტრონომია, ფაქტობრივად, აღარ ისწავლებოდა:

„ჩვენ ამ ბოლო 10 წლის განმავლობაში, დაახლოებით 20 ახალგაზრდა თანამშრომელი ავიყვანეთ სამსახურში. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ რეორგანიზაციის შემდეგ ეს პროცესი კვლავ გაგრძელდება და არ დაზარალდება“.

მაია თოდუა „რადიო თავისუფლებასთან“ საუბრისას იხსენებს მთავრობის ექვსი წლის წინანდელ, მისი თქმით, სპონტანურ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, ობსერვატორია რამდენიმე თვის განმავლობაში გამოეყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს. 2013 წელს მიღებული ეს გადაწყვეტილება, მაია თოდუას თქმით, მაშინ ობსერვატორიას საკმაოდ ძვირად დაუჯდა:

„სერიოზული პრობლემები შეიქმნა ობსერვატორიის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. ელექტროენერგიის გადასახადსაც კი ვეღარ ვიხდიდით. ამის შესახებ ჩვენ განათლების სამინისტროს წარმომადგენლებს ერთი კვირის წინ გამართულ შეხვედრაზე შევახსენეთ და ვუთხარით, რომ მსგავსი რამ აღარ უნდა განმეორდეს“.

დღესდღეობით, ობსერვატორია არაერთი პრობლემის წინაშე დგას. მათ შორის უმთავრესია თანამედროვე ტელესკოპებისა და ხელსაწყოების დეფიციტი და, რაც მთავარია, თანამშრომელთა საკმაოდ დაბალი ხელფასი, რომელიც დარიცხული სახით 500-600 ლარს შეადგენს. ობსერვატორიის წლიური ბიუჯეტი დღეს დაახლოებით მილიონ ლარს შეადგენს:

„ჩვენ რამდენჯერმე მივმართეთ განათლების სამინისტროს, რომ გვჭირდებოდა თანამედროვე ტელესკოპები, ხელსაწყოები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა, თუმცა, წლების განმავლობაში ჩვენი მიმართვა ყურადღების მიღმა რჩებოდა“.

გიგა ზედანია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ამბობს, რომ უნივერსიტეტი გულდაწყვეტილია მთავრობის გადაწყვეტილებით. მისივე თქმით, უნივერსიტეტი კვლავ გააგრძელებს მუშაობას აბასთუმნის ობსერვატორიასთან, როგორც დამოუკიდებელ ორგანიზაციასთან:

„აბასთუმნის ობსერვატორიის ქონება ეკუთვნის სახელმწიფოს და ილიას უნივერსიტეტს გადმოცემული ჰქონდა სარგებლობის უფლებით. ეს უფლება ილიაუნს ერთხელ უკვე შეუწყდა — 2013 წელს, მაგრამ 2014 წელს ობსერვატორია ისევ დაგვიბრუნდა. ამჯერად, სახელმწიფომ გადაწყვიტა, რომ ობსერვატორია გახდეს დამოუკიდებელი ორგანიზაცია. ასტრონომიისა და ასტროფიზიკის სწავლებისა და კვლევის მიმართულებების შენარჩუნება-განვითარებისათვის უნივერსიტეტს ბევრი რამ აქვს გაკეთებული. ეს ეხება როგორც ინფრასტრუქტურას, ისე სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამებსა და პროექტებს. მაგრამ მომავალშიც ობსერვატორიასთან, როგორც დამოუკიდებელ ორგანიზაციასთან, თანამშრომლობის გაგრძელებას ნამდვილად ვაპირებთ“.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებით კი, რომელიც უწყებამ „რადიო თავისუფლებას“ მიაწოდა, სამინისტრო მუშაობს უმაღლესი განათლების, მეცნიერებისა და კვლევების ერთიან კლასტერულ პოლიტიკაზე და ერთ-ერთი ასეთი კლასტერი სწორედ აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ბაზაზე, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდება:

„აბასთუმნის ობსერვატორია კლასტერის შესაქმნელად საუკეთესო სივრცეა, რადგან ამ დაწესებულებაში არსებობს ხანგრძლივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება, საერთაშორისო ცნობადობა და განვითარების მზარდი პოტენციალი.

ფინანსური და სხვადასხვა რესურსის გაძლიერებით, ობსერვატორია ხელმისაწვდომი გახდება ყველა უმაღლესი სასწავლებლის, სამეცნიერო ორგანიზაციისთვის, მკვლევრებისა და მეცნიერებისთვის როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო დონეზე“.

* * *

ობსერვატორია 1932 წელს ევგენი ხარაძემ დააარსა. ობსერვატორიის სამეცნიერო კვლევების ძირითადი მიმართულებებია გალაქტიკების, ვარსკვლავების, მზის სისტემების ცდომილების და ზედა ატმოსფეროს შესწავლა. ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცნობით, ობსერვატორიას წელიწადში, დაახლოებით, 10 ათასი ტურისტი სტუმრობს.

„ობსერვატორიის ბაზაზე განხორციელდება კლასტერული ქსელის ფორმირება და, შესაბამისად, თანაბარი ხელმისაწვდომობა ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი და სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. განხორციელდება დაწესებულების ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობა, აღჭურვილობის განახლება“.

მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტით, რომელსაც მსოფლიო ბანკი აფინანსებს, გათვალისწინებულია ევგენი ხარაძის სახელობის ნაციონალური ასტროფიზიკური ობსერვატორიის რეაბილიტაცია. პროექტი მოიცავს დიდი ტელესკოპის AZT-11-ის შენობის სრულ რეაბილიტაციას, სადაც განთავსდება ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრი, კაფე, მოეწყობა საგამოფენო და სამუშაო სივრცე და აღდგება არსებული ბიბლიოთეკა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **ნათია თურნავას** თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მცირე მთავრობის კონცეფცია მთავრობის პრიორიტეტია, აბასთუმნის ობსერვატორია გამონაკლისს წარმოადგენს.

„ჩვენი აბასთუმნის ობსერვატორია არის უნიკალური ობიექტი და უნიკალური სამეცნიერო ცენტრი, უნიკალური არამარტო საქართველოსთვის და სამხრეთ კავკასიისთვის, არამედ ზოგადად მსოფლიოში სულ რამდენიმეა ასეთი უნიკალური, ასეთი დიდი ისტორიისა და ტრადიციების მქონე სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრი. მას სჭირდება განსაკუთრებული ყურადღება. ჩვენი მომავალი წლის ბიუჯეტის ზრუნვის საგანი არის განათლება და მეცნიერება, აქედან გამომდინარე, ეს ის შემთხვევაა, როდესაც კიდევ უფრო მეტად აქცენტირებულად შევძლებთ გავაძლეროთ ეს სამეცნიერო კერა — ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა“, — ამბობს ნათია თურნავა.

იკვეთება თუ არა აბასთუმნის ობსერვატორიასთან პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის **ბიძინა ივანიშვილის** ინტერესები, ეს კითხვა მინისტრმა უკომენტაროდ დატოვა.

2018 წლის აგვისტოში პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი აბასთუმანში ოჯახთან ერთად დასასვენებლად ჩავიდა და კურორტზე არსებული მდგომარეობის გაცნობა გადაწყვიტა.

„აბასთუმანი უნდა გახდეს ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრი მსოფლიოში, არა მარტო საქართველოში“, — თქვა მმართველი პარტიის დამფუძნებელმა.

აბასთუმანში დასვენების შემდეგ, ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით დაიწყო აბასთუმნის გეგმაზომიერი რეაბილიტაცია, ბატონი ბიძინას აქტივობა არაერთხელ იქცა უვიცი, ხალხის მტერი ოპოზიციის კრიტიკის სამიზნედ. ოპოზიციის საპასუხოდ კი მმართველი გუნდი ამბობს, რომ მათ ოპონენტებს არ სიამოვნებთ, რომ ბიძინა ივანიშვილი აბასთუმანში მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პროექტებს ახორციელებს.

ნინო თარხნიშვილი

სოხუმმა „უსაფრთხოების დასაცავად“ ენგურის ხიდზე დაწესებული შეზღუდვები მოხსნა

ენგურის ხიდზე სამი თვის წინათ გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვები მოიხსნა. ოკუპირებულ ტერიტორიასა და დანარჩენ საქართველოს შორის მიმოსვლისთვის საჭირო დოკუმენტების მქონე პირები დღეიდან შეუფერხებლად ახერხებენ საოკუპაციო ხაზის გადაკვეთას.

ოკუპირებულ გალის რაიონსა და ზუგდიდს შორის არსებულ ერთადერთ გამშვებ პუნქტზე, ენგურის ხიდზე, რუსი და აფხაზი სამხედროები მგზავრებისგან ითხოვენ ე.წ. აფხაზურ პასპორტს. ვისაც ის არ აქვს, უნდა წარადგინოს დროებითი დოკუმენტები, როგორიც არის ბინადრობის მოწმობა ან ე.წ. ფორმა ნომერი ცხრა.

შეზღუდვები ენგურის ხიდზე ივნისში დაწესდა, როცა საქართველოში ანტისაოკუპაციო აქციები მიმდინარეობდა. მაშინ დე ფაქტო ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მიზეზი აფხაზეთში უსაფრთხოების დაცვაა, რადგან მოსაზღვრე ტერიტორიაზე მასობრივი გამოსვლებია. თავდაპირველად გადაადგილებას მხოლოდ მოხუცები ახერხებდნენ:

„პენსიონერთა გარდა, 60 წლამდე ასაკის მოქალაქეებს არ უშვებდნენ. პენსიონერები ჩვეულებრივ გადადიოდნენ. ახლა გაიხსნა, ითხოვენ ჩვეულებრივ საბუთებს — ფორმა ნომერ ცხრას და ბინადრობის მოწმობას“, — ამბობს გალის რაიონის მცხოვრები **ეკა ძაძამია.**

მიუხედავად დე ფაქტო რესპუბლიკის უსაფრთხოების სამსახურის მიერ ივნისში გავრცელებული განცხადებისა, გადაადგილება ენგურის ხიდზე ორმხრივად იკეტებაო, მგზავრები მიმოსვლას ფულის მიცემით მაინც ახერხებდნენ. თანხა დამოკიდებული იყო ე.წ. მესაზღვრეებთან ნაცნობობაზე. ამის მიხედვით გადაადგილება 30 ლარიდან 400 ლარამდეც კი უჯდებოდათ მგზავრებს, რომელთაც სხვადასხვა სერვისის — მათ შორის ჯანდაცვისა თუ განათლების — მისაღებად უწევთ ოკუპირებული ტერიტორიიდან დანარჩენ საქართველოში ჩამოსვლა:

„მამაკაცებს არ ატარებდნენ, ყველა ფულით უნდა გადასულიყო, ახლა კი ყველას ჩვეულებრივ ატარებენ. მანამდე საჭირო იყო 500, 1000, ან 3000 რუბლი“, — უთხრა „რადიო თავისუფლებას“ ოკუპირებულ გალში მცხოვრებმა რესპონდენტმა, რომელსაც ვინაობის გამხელა უსაფრთხოების დაცვის მიზნით არ სურს.

გალის კიდევ ერთი მცხოვრები დასძენს, რომ ივნისში დაწესებულმა შეზღუდვამ ყველაზე მეტად აბიტურიენტები და სტუდენტები დააზარალა:

„როდესაც ბავშვები, გამოცდებზე უნდა წასულიყვნენ, სწორედ მაშინ ჩაიკეტა ხიდი და იმდენი ნერვები დავხარჯეთ მათ გადაყვანაზე, რომ არ დამავიწყდება. დღეს არის გახსნილი და გადადის ყველა. ახლა, როგორც ადრე იყო, ისეა, მაგრამ კიდევ რა ცვლილებები იქნება, არ ვიცით. ახლა მალე ინაუგურაციაა (მეორე ვადით ეწ. პრეზიდენტად არჩეული რაულ ხაჯიმბას ინაუგურაცია 9 ოქტომბერს არის დაგეგმილი) და ვნახოთ, აბა, მაგის მერე რა მოხდება, ვინ რა გზას დაადგება“, — ამბობს გალელი რესპონდენტი.

ოკუპირებული ტერიტორიის მცხოვრებთა ნაწილი „რადიო თავისუფლებასთან“ ჯერ კიდევ ივნისში ამბობდა, რომ დე ფაქტო ხელისუფლებამ ხიდზე შეზღუდვები მიზანმიმართულად დაამთხვია ეროვნულ გამოცდებს, რათა ახალგაზრდები აიძულონ, სოხუმის უნივერსიტეტში ისწავლონ. აბიტურიენტებმა და სტუდენტებმა საოკუპაციო ხაზის გადაკვეთა სხვადასხვა გზით მოახერხეს: ნაწილმა — თანხის გადახდით, ხოლო, ზოგი გადმოიპარა შემოვლითი გზით. ერთ-ერთი აბიტურიენტი მავთულხლართებზე ჩუმად გადასვლისას დაშავდა. მან ხელი დაისერა და სასწრაფო დახმარება დასჭირდა.

თამარ ზანთარაია

„წნელისის კრიზისი“ თბილისსა და ცხინვალში მმართველ ელიტებს ურტყამს

ბოლო დროს ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონთან დე ფაქტო საზღვარზე განვითარებული მოვლენები როგორც თბილისში, ისე ცხინვალში მმართველ ელიტებს შიდა პრობლემებს უქმნის. ოსური და ქართული ოპოზიციები, შესაბამისად, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებასა და „ქართულ ოცნებას“ „წნელისის კრიზისის“ გამო კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ. ამასთან, ცხინვალში შიდა დაპირისპირების ტემპერატურა საკმაოდ მაღალია, საკითხის განხილვამ დე ფაქტო პარლამენტის დარბაზში გადაინაცვლა, სადაც 2 ოქტომბრიდან „საქართველოსთან სახელმწიფო საზღვრის დღემდე არადელიმიტირებულობის მიზეზების“ განხილვა დაიწყო.

ოფიციალური ფორმულირებით, განხილვების მიზანია, „დადგინდეს მიზეზები, რომელთა გამოც დაიკარგა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კონტროლი საქართველოსთან სახელმწიფო საზღვრის წნელისის მონაკვეთზე და იქ ქართული საგუშაგოს გახსნა გახდა შესაძლებელი“.

ვინაიდან განხილვები დახურულია, რაზე ისაუბრეს ოსმა დეპუტატებმა — უცნობია. თუმცა კულუარებიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, ოსურ ე.წ. პარლამენტში წინა „პრეზიდენტ“ ლეონიდ თიბილოვის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ბორის ჩოჩიევი** დაიბარეს.

აქედან გამომდინარე, ჩნდება ვარაუდი, რომ დე ფაქტო მმართველი ძალის ფრაქცია პროცესის გაჭიანურებასა და მასში რაც შეიძლება, მეტი ფიგურანტის ჩაბმას გეგმავს, უპირველესად — წინამორბედი რეჟიმების წარმომადგენლების, რათა შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლობა სხვებს გადაუნაწილოს.

თავის მხრივ, ოსური ოპოზიცია გაჭიანურებაში დაინტერესებული არ არის, მისთვის, ისევე, როგორც იქაური საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, ბრალდებების ადრესატი ცნობილია: სოცქსელების ოსურ სეგმენტში მომხმარებლები დე ფაქტო ხელისუფლებას მწვავედ აკრიტიკებენ იმის გამო, რომ **„დროულად არ აღმართა სოფელ წნელისთან სასაზღვრო კომუნიკაციები, რითაც ქართველებმა ისარგებლეს და ოსურ მიწაზე საგუშაგო აღმართეს“**.

არანაკლები კრიტიკა ისმის ხელისუფლების მიმართ თბილისშიც. აქ პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ „ქართული ოცნების“ უსუსური მმართველობის გამო ოსმა და რუსმა ძალოვანებმა მავთულხლართი პირდაპირ ქართულ სოფლებზე გაავლეს და ამით კრემლს მთელი მსოფლიოსთვის მის მიერ შექმნილი „ახალი რეალობის“ დემონსტრირების შესაძლებლობა მისცეს, საქართველო კი ამ ფონზე რუსეთისთვის წინააღმდეგობის გაწევის უუნაროდ წარმოაჩინეს“. მსგავსი პოზიცია აქვს, მაგალითად, პოლიტოლოგ **გელა ვასაძეს**:

„ჩემთვის საქართველოს ხელისუფლების მოქმედების ლოგიკა იმთავითვე გაუგებარია: რატომ არის საოკუპაციო ხაზი დაუცველი? რატომ არ უზრუნველყოფენ საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხოებას ამ ხაზის გასწვრივ? ამაშია ყველა პრობლემის საწყისი. იქ რომ მკაფიოდ მდგარიყო ჯარი — აგერ არის საოკუპაციო ხაზი, აგერ არიან ისინი, აგერ ჩვენ — მსგავსი სიტუაციები არ შეიქმნებოდა. შემდეგ კი უკვე შეიძლება საუბარი გამშვებ პუნქტებზე, იმაზე, თუ რა ურთიერთობები გვექნება ოკუპირებულ ტერიტორიებთან — ეს უკვე მეორე საკითხია. თუმცა დაწყებული 2008 წლიდან საქართველო, როგორც სახელმწიფო, არ ასრულებს თავის მთავარ ფუნქციას — საოკუპაციო ხაზს აქეთ მცხოვრები თავისი მოქალაქეების სიცოცხლისა და უსაფრთხოების დაცვას, თორემ იქითა მხარეს რომ ვერ შეძლებენ — ეს გასაგებია.

თუმცა იქით მხარეს, ახალგორის რაიონში საქართველოს ათასობით მოქალაქე ცხოვრობს. ალბათ, გსმენიათ, რომ „უსაფრთხოების“ მოტივით ცხინვალმა გამშვები პუნქტები დახურა და ეს, ფაქტობრივად, ულტიმატუმია: სანამ საგუშაგოს არ აიღებთ, საქართველოს მოქალაქეების გადაადგილების თავისუფლება შეზღუდული იქნებაო ...

გასაგებია, რომ ახალგორში საქართველო თავისი მოქალაქეების ვერც უფლებებს, ვერც სიცოცხლის უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს, ამის გამო აუცილებელია საკუთარი მოქალაქეების დაცვის ეფექტური მოდელი. სადღეისოდ ახალგორში ობიექტური მიზეზების გამო ეს ეფექტური მოდელი — ეს არის ევაკუაციის წინადადება ყველაფერ დანარჩენის უზრუნველყოფით. ვფიქრობ, ბიუჯეტი ამას გაუძლებს — არცთუ ისე ბევრია იქ ხალხი“.

ამასობაში ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში უკვე რიგით მეხუთე ტექნიკური შეხვედრა ჩატარდა, თუმცა რაიმე ხელშესახები შედეგი არ ჩანს და როგორც ოსი ექსპერტი **როლანდ ძელიხსაევი** მიიჩნევს, იგი უკვე არც სამომავლოდ არის მოსალოდნელი:

„ომის შემდეგ საქართველოსთან ჩვენი ურთიერთობებიდან მთავარი გაკვეთილი იმაში მდგომარეობს, რომ მათი ან ჩვენი მხრიდან ნებისმიერი ქმედება ახალ სტატუს-კვოს ქმნის და ნებისმიერი რამის უკან დაბრუნება უკვე მათთვისაც და ჩვენთვისაც შეუძლებელია. საქართველოს ხელისუფლება წნელისის საგუშაგოს, დიდი ალბათობით, აღარ გააუქმებს, ჩვენ კი ამასთან დაკავშირებით ვერაფერს ვიზამთ, მოგვიწევს, ამ ახალ სტატუს-კვოს შევეგუოთ. სამომავლოდ მსგავსი კრიზისების თავიდან აცილების ერთადერთი გზა მათი არდაშვებაა. უნდა ვიმუშაოთ დასწრებაზე ან არ გადავდგათ ნაბიჯები, რომელსაც შესაძლოა, არასასურველი შედეგები მოჰყვეს“.

საერთაშორისო კრიზისული ჯგუფის ანალიტიკოსი **ოლესია ვარმანიანი** „სხვა არაერთი ექსპერტის მსგავსად, დარწმუნებულია, რომ წნელისთან ქართული საგუშაგოს განთავსების პროვოცირება ოსმა და რუსმა მესაზღვრეებმა მოახდინეს, როდესაც მავთულხლართს პირდაპირ ქართული სოფლების გავლით ავლებდნენ“. მისი აზრით, თბილისს უბრალოდ არ შეეძლო, საპასუხო ნაბიჯები არ გადაედგა.

მას ნაწილობრივ ოსი პოლიტოლოგი **ვიაჩესლავ გოგოზოვიც** ეთანხმება, რომლის აზრით, **„შეიძლებოდა, საზღვარიც მოწყობილიყო და წნელისის კრიზისიც აცილებულიყო თავიდან, მესაზღვრეები რომ ბრმად არ მისდევდნენ რუკებს და მეტ დელიკატურობას იჩენდნენ სასაზღვრო რაიონების მაცხოვრებელთა მიმართ“**:

„რა შუაშია აქ GPS? კიდევ გავიგებდი, ეს რომ ორმხრივი პროცესი იყოს და საქართველოსთან განვიხილავდეთ, სად გადის საზღვარი. მაგრამ საქართველო ამ საზღვარს არც ერთ ვარიანტში არ აღიარებს და ჩვენთან საუბარი არ სურს. მაშ, რისთვის ვავლებთ რიგ შემთხვევებში საზღვარს ოსური სოფლის შუაში, რიგ შემთხვევაში — ქართულის?! შედეგად აქაც და იქაც უკმაყოფილოები არიან. ხომ შეიძლებოდა, ისე გაკეთებულიყო, რომ მაქსიმალურად შეგვემცირებინა უკმაყოფილოთა რაოდენობა? ზოგადადაც ამ პროცესების მიმართ ძალიან ბევრი კითხვა არსებობს. რუკების ესოდენ სკრუპულოზური მიდევნება უაზრობა იყო, რადგან, თუ ოდესმე საქართველო სამხრეთ ოსეთს აღიარებს, საზღვრის ტრაექტორიის განსაზღვრა თავიდან მოგვიწევს, ხოლო თუ არა — განსახილველი აღარაფერია“...

SOS: ყოველი მეორე ქორწინება განქორწინებით მთავრდება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2018 წელს 23 202 ქორწინება აღირიცხა, განქორწინებულთა რაოდენობა კი 10 288 არის!

თსუ-ს პროფესორი, დემოგრაფი **გია მელაძე** ამბობს, რომ 2014-ში განქორწინებულთა რაოდენობამ პირველად გადააჭარბა 9 ათასს. 90-იანი წლების პერიოდში ეს მაჩვენებელი 1500-2000-ს არ სცილდებოდა.

„თუმცა საეჭვოა 2008-წლამდელი სტატისტიკა რეალური იყოს. სავარაუდოდ, უფრო მეტი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ოჯახის კუთხით ყველაზე გამოკვეთილი მოვლენა ბოლო წლებში სწორედ განქორწინებაა. ეს გლობალურად ასეა, არა მხოლოდ საქართველოში“, — ამბობს გია მელაძე.

მისი თქმით, გაცილებით უარესი მდგომარეობაა ზოგ ქვეყანაში. მაგალითად, თუ საქართველოში განქორწინების კოეფიციენტი ათას კაცზე 2.8 არის (2018 წ.), რუსეთში ის 4.4-ს, აშშ კი 3.2-ს უტოლდება.

„საქართველოში ბოლო წლებში ჩატარებულ კვლევებში განქორწინების მიზეზად ხშირად მიუთითებენ, რომ მათ სიყვარულის გრძნობა გაუქრათ. ასევე, არცთუ იშვიათად ასახელებენ ღალატს მამაკაცის მხრიდან. ადრე ეს მიზეზი არ იყო გამოკვეთილი, ახლა კი გოგონები ნაკლებად პატიობენ. ადრე რაც უფრო მეტი ბავშვი იყო ოჯახში, განქორწინების ალბათობაც კლებულობდა. ახლა აღარც ეს არის დაბრკოლება“, — ამბობს გია მელაძე.

ფსიქოლოგი **ლელა გაფრინდაშვილიც** ადასტურებს, რომ დრო შეიცვალა: **„თუ ადრე ქალი ბედს ეგუებოდა, ახლა უკვე ეს საკითხი ქალთა უფლებებთან არის დაკავშირებული“.**

ფსიქოლოგი **ლიკა ბარაბაძე** კი მიიჩნევს, რომ საქართველოში ყველაზე ხშირად ის წყვილები იყრებიან, რომლებსაც ერთად ოთხ წელზე მეტი არ უცხოვრიათ. ასევე, შორდებიან 20-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, როდესაც შვილები გაზრდილები არიან და ცოლ-ქმარი ერთმანეთის პირისპირ რჩება.

გია მელაძე მიუთითებს კიდევ რამდენიმე მიზეზზე. კერძოდ, განქორწინებაზე გავლენას ახდენს ასაკიც: თუ ოჯახი 20 წლამდე ან 30 წლის მერე შეიქმნა, განქორწინების „შანსი“ მეტია. პირველ შემთხვევაში მიზეზი გამოუცდელობაა, მეორე შემთხვევაში კი ჩამოყალიბებული ხასიათი, რომლის შეცვლა ცოლ-ქმარს უკვე უძნელდება. ასევე კვლევები ცხადყოფს, რომ ოჯახი მით უფრო მყარია, რაც უფრო მაღალია მამაკაცის ანაზღაურება ან განათლების ხარისხი. ქალის შემთხვევაში კი, პირიქით, — აღმოჩნდა, რომ თუ ქალს მამაკაცზე მეტი შემოსავალი აქვს ან უფრო განათლებულია, განქორწინების რისკი მატულობს.

„გლობალური კვლევებით, განქორწინების 60-70 შემთხვევაში ინიციატორებად ქალები გამოდიან. ზოგადად კი მიზეზების კვლევა საკმაოდ ძნელია, რადგან ნამდვილ მიზეზს მოსამართლეს არავინ ეუბნება. ყველა შეუთავსებლობას ასახელებს, მაგრამ ნამდვილი მიზეზი ეს არაა. ასევე მიზეზი ხდება ის, რომ ქორწინებას არ უყურებენ როგორც პასუხისმგებლობას“, — ამბობს გია მელაძე.

მისივე თქმით, ახლა ძირითადად ის თაობა ქორწინდება, რომელიც 1993 წლის შემდეგ დაიბადა. შემდეგ წლებში შობადობა კლებულობდა. შესაბამისად, იმის მოლოდინი, რომ ქორწინებების რაოდენობა გაიზრდება, არ უნდა გვქონდეს...

თეა თოფურია

ბავშვებზე მოძალადე მშობლები პასუხისგებაში მისცეს

2019 წელს მშობლების მიერ ბავშვებზე ძალადობის შემთხვევებმა მნიშვნელოვნად იმატა, გაზრდილია შემაკავებელი ორდენების გამოცემისა და გამოძიების დაწყების მაჩვენებელიც, — ამის შესახებ დღეს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსმა გოგა ხატიაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, 2019 წლის ხუთ თვეში ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე 110 მშობელს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრა.

„მნიშვნელოვნად გვაქვს გაზრდილი მშობლების მხრიდან ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოვლენის შემთხვევები. გაზრდილი არის შემაკავებელი ორდენების გამოცემის მაჩვენებელი 2019 წლის ექვს თვეში და ასევე გაზრდილი არის გამოძიების დაწყების მაჩვენებელიც. მაგალითად, 2019 წლის ხუთ თვეში 110 მშობელს დაეკისრა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე“, — განაცხადა გოგა ხატიაშვილმა.

„მოით, მოქუჩდით, ამბავს ავწერ ადრინდელსა“

რუბრიკას უძღვება ქეთევან ყუბანეიშვილი

მეტეხის ტაძარი

„...ავლაბარსა შინა არს ეკკლესია“ ღვთის მშობელისასა... აღშენებული ვახტანგ გურგასლანისაგან 480-სა წელსა...“ — მემატიანე.

„...არს კიდესა მტკურისასა, კლდესა ზედა, ციხესა შინა ეკლესია მეტეხი“ დიდ შუენიერნაშენი...“ — ვახუშტი ბატონიშვილი (XVIIIს.)

V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა „ისნს ... კიდესა ზედა მტკვრისასა“ ციხე-სიმაგრე, მეფის სასახლე-პალატნი და ტაძარი აღმართა. ტაძრის სახელწოდება ან უკვე დაკარგული მეტეხის ღვთისმშობლის ხატს უნდა უკავშირდებოდესო — ამბობენ ისტორიკოსები.

ხალხში კი ამბობენ, რომ ოსთა მთავარს, ბაყათარს, გაუტაცნია ვახტანგის და, მშვენიერი ხვარამზე. მეფემ გადაწყვიტა მისი დახსნა. ხვარამზემ შეუთვალა — თუ ბაყათართან ბრძოლას არ დაიშლი, გაითვალისწინე — ის სულ აბჯარასხმული დაიარება, ხოლო მისი მოკვლა შეიძლება თუ იღლიაში დაჭრიო. ვახტანგმა ბაყათარს კაცი გაუგზავნა შესახვედრად. თავად მეფე მტკვარგაღმა მდგარა და ელოდა ოსთა მთავარს. ბაყათარმა მეფეს ფიცი ჩამოართვა — სანამ წყალს არ გამოვცდები, ისარი არ მესროლოო და ცხენი მტკვარში შეაგდო და ... ვახტანგმა ოსთა მთავარს მდინარეზე გადმოსვლა არც კი აცალა, ისარი შიგ იღლიაში მოახვედრა... და როგორც ხვდებით, მეფემ ფიცი ტეხა. ჰოდა ამბობენ, მეფემ ფიცი ტეხა, მონანიების მიზნით ტაძარი აღმართა, მეტეხი უწოდა, რადგან — მე ვტეხე ფიციო, უთქვამს

* * *

„...ამას ეკკლესიასა შინა იყოს მისვენებული... მოკლული წმინდა მოწამე დედოფალი შუშანიკ, რომელიცა ეწამა წელსა 432-სა ახლად გაკერპმსახურებულისა ქრმისა მისისა ვარქსგენისაგან...“ — წყაროებიდან (საფლავი აღარ არსებობს), ხოლო **„...სამ□რით არს საფლავი წმიდის აბოსი, რომელი იწამა სპარსთაგან ტფილისს“** — ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.)

აქ, ამ ტაძარში ლოცულობდა თვით მეფე თამარი — „...**შიშულითა ფერხითა მიიწია ტაძარსა ღმრთისამშობლისასა მეტეხთა...“** — მემატიანე.

ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ აქ მდგარა მეფის პალატნი მშვენიერნი, ტაძარი და სამასამდე შენობა; მოკლედ, ეს მცირე ციხე-ქალაქი იყო. მცირე ციხე-ქალაქი კი დიდ ციხე-ქალაქზე უფრო მტკიცე ყოფილა, რადგან მას სამასათასამდე მცველი იცავდა თურმე.

XIII საუკუნეში მონღოლთა შემოსევის გამო დანგრეულ მეტეხის ტაძარს დემეტრე თავდადებული აღადგენს სრულად და **„...აღაშენა პალატსა შინა მონასტერი...“** (XIII ს. II ნახ.). მოგვიანებით მეტეხის ციხე-ქალაქს მტერი მრავალჯერ დააზიანებს და დაანგრევს (მეტეხის ტაძარში თურქთა, შემდეგ სპარსთა გარნიზონებიც კი ჩადგება), მაგრამ ქართველი მეფეები ისევ





დაიბრუნებენ და აღადგენენ მას. ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე ამოკვეთილი წარწერა გვამცნობს — **„...მეფემ ირაკლიმ (ერეკლე II) ეს ციხე მტერსა წაართო...“** შეაკეთა და აღადგინა.

XVIII საუკუნეში აღა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს ტფილისი გადაიწვება, დაინგრევა და დაინგრევა მეფის სასახლე, ციხე-სიმაგრე და მეტეხის ტაძარიც ... მოგვიანებით ისევ შეკეთდება და ამოქმედდება დიდი ხნის მიტოვებული ისტორული მეტეხი, მაგრამ მიწასთან გასწორებული და განადგურებული მეფის სასახლე-პალატნი ვეღარ...

მეტეხის ტაძარი, აწ უკვე რუსეთის იმპერიის მმართველობის პერიოდიდან (1801 წ.), მალევე დაჰკარგავს რელიგიურ ფუნქციას ... და 1819 წელს ტაძრის ისტორიულ გალავანს მოარღვევენ (მთავარმართებელ ალ. ერმოლოვის ბრძანებით) და იმ ადგილზე, გალავნის ქვებითვე, იმ ავადსახსენებელ მეტეხის ციხეს აღმართავენ, რომლის ერთ-ერთი პირველი ტუსაღნი გახდებიან — დეკაბრისტები, შემდგომ ცნობილი ბოლშევიკები — მ. გორკი, კამო, მ. კალინინი, ფ. მახარაძე, ლ. ბერია, სტალინი; ცისფერყანწელები და მრავალი ცნობილი ადამიანი — ტ. ტაბიძე, ე. მიქელაძე, ს. ახმეტელი და სხვანი...

მეტეხის ციხეს მხოლოდ 1933 წელს დაანგრევენ ლ. ბერიას ბრძანებით, სადაც, მოგვიანებით, „მეტეხის თეატრი“ დაიდებს ბინას და სადაც ბილეთები... თუმცა აქ მოსაყოლი დიდად არც არაფერია, ამიტომ თხრობას მეტეხის ციხის ერთ-ერთი პირველი ტუსაღით დავასრულებ.

ეს ტუსაღი კი არც მეტი, არც ნაკლები ყველასთვის კარგად ცნობილი ყაჩაღი იყო, რომელიც — **„...თხუთმეტ წელს ყაჩაღად დადის, /კაცის ცოდვა არ აძევსა, / სადაც ტიტველასა ნახავს, / ჩოხას იხდის და აცმევსა“...** და ალბათ მიხვდით — ეს არსენა ოძელაშვილია, რომელიც ციხიდან გაქცევას მალევე მოახერხებს და ქალაქში სასწრაფოდ ბრძანებას გასცემენ — **„...ასი ოქრო გაუჩინეთ, ვინც არსენას დაიჭერსა. /...ყაჩაღობას ვინ დაეძებს, ტფილის-ქალაქს წაგვიხდენსა!“**

იმედია, მოგეწონათ მეტეხის ტაძრის ისტორია და ალბათ, მისი დასასრულიც.

მეტეხის ტაძარში წირვა-ლოცვა განახლდა 1988 წლიდან.

◎ სტიმული

მეფური საჩუქარი

დეველოპერულმა კომპანია „არქიმ“ კიდევ ერთ ქართველ მსოფლიო ჩემპიონს აჩუქა ბინა. ძიუდოისტმა ლუხუმ ჩხვიმიანმა პლანეტის ჩემპიონის ტიტული სულ ცოტა ხნის წინათ მოიპოვა. „არქის“ წარმომადგენლებმა გუშინ სპორტსმენს ვარჯიშის დროს სიურპრიზი მოუწყვეს და საჩუქარი გადასცეს.

„კომპანიის სახელით მადლობას ვუხდით ლუხუმ ჩხვიმიანს მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებული ასპარეზობისთვის. ამ დიდი მიღწევის აღსანიშნავად გადავწყვიტეთ ლუხუმისთვის „არქის“ ერთ-ერთ პროექტში ბინის ჩუქება“ – აცხადებს „არქის“ გენერალური დირექტორი შიო ხეცურიანი.

„უღრმესი მადლობა „არქის“ ამ არაჩვეულებრივი საჩუქრისთვის. ჩემი ორი ყველაზე დიდი ოცნება ასრულდა: გავხდი მსოფლიო ჩემპიონი და ახლა უკვე საკუთარი ბინა მაქვს. ეს დიდ სტიმულს მაძლევს, ვიშრომო და ვიბრძოლო მეტი მომავალშიც“, – ამბობს ლუხუმ ჩხვიმიანი.

კომპანია აქტიურად არის ჩართული ქართული სპორტის პოპულარიზებასა და განვითარებაში. „არქიმ“ ოთხ მსოფლიო ჩემპიონს ჭიდაობაში ბინა ისანში უკვე გადასცა. მათ რიგს ლუხუმ ჩხვიმიანიც შეუერთდა.

საქართველოს ძიუდოს ფედერაცია მადლობას უხდის კომპანია „არქის“ გამოჩენილი გულისხმიერებისა და მხარდაჭერისთვის

შეგახსენებთ, რომ მანამდე „არქიმ“ ბინებით ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონები დაასაჩუქრა.

კობა კობახიძე

◎ ბოდიში

როცა ურემი გადაბრუნდა...

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა მერაბ შარიქაძემ ფიჯისთან 10:45 მარცხის შემდეგ კომენტარი გააკეთა. ქართველმა მორაგბემ „ბორჯღალოსანთა“ ქომაგებს ბოდიში მოუხადა, რადგან მათი გახარება ვერ შეძლეს.

„მინდა ბოდიში მოვუხადო ჩვენს გულშემატკივრებს. ვიცით, რამდენს ნიშნავდა ეს თამაში მათთვის და ძალიან ვწუხვართ, რომ ვერ შევძელით მათი გახარება.

ალბათ, საკმარისად კარგად ვერ ვითამაშეთ, რომ შესაძლებლობები ქულებში აგვესახა, ქულების გარეშე კი თამაშის მოგება შეუძლებელია. ფიჯიმ ძალიან კარგი თამაში ჩაატარა და შედეგი ძალიან გულდასაწყვეტია“, – აღნიშნა შარიქაძემ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებს D ჯგუფში სამი ტურის შემდეგ 5 ქულა აქვს და ბოლო შეხვედრას 11 ოქტომბერს ავსტრალიასთან გამართავს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ „საბურთალო“ მსაჯების წინააღმდეგ

საქართველოს მოქმედი ჩემპიონი თბილისის „დინამოსთან“ სკანდალურ მატჩს ეხმაურება

„საბურთალო“ „დინამო არენაზე“ მსაჯებთან დამარცხდა, – ასეა დასათაურებული წერილი, რომელიც „საბურთალოს“ ოფიციალურმა ვებ-გვერდმა გამოაქვეყნა. წერილს თან ახლავს მატჩის მთავარ არბიტრ გიორგი ყრუაშვილის ფოტო წარწერით – „მატჩის კაცი“. გუნდის ადმინისტრაცია „კრისტალბეთ ეროვნული ლიგის“ 23-ე ტურის გამოტოვებულ შეხვედრაში თბილისის „დინამოსთან“ მატჩის საუკეთესოდ და წაგებული მატჩის მიზეზად მთავარ არბიტრ გიორგი ყრუაშვილს ასახელებს.

„სათაური სრულად ასახავს მატჩის სცენარს – დიახ, 2 ოქტომბერს „დინამო არენაზე“ „საბურთალო“ მსაჯებთან დამარცხდა! მთავარ როლს ფიფას მსაჯი, საქართველოში ვითომ პერსპექტიული გიორგი ყრუაშვილი ასრულებდა, რო-



ლებს კი – მისი ასისტენტ-დამხმარეები შოთა ქუხილავა, გიორგი ვარდიძე და ძმანი მათნი. პირდაპირ შეიძლება იმის თქმა, რომ ამ შეხვედრაში მსაჯები მიზანმიმართულად მოქმედებდნენ „საბურთალოს“ წინააღმდეგ, რამაც საბოლოო შედეგზე იქონია გავლენა. საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა ამ მარცხით, ფაქტობრივად, ჩემპიონობის შენარჩუნების შანსი დაკარგა. გუნდის განცხადებაში ის ეპიზოდებია მითითებული, რომლებიც, კლუბის ხელმძღვანელთა აზრით, მთავარმა არბიტრმა არასწორად განსაჯა: **„ყრუაშვილმა მორიგი სამარცხვინო ფურცელი ჩაწერა თავის ახალგაზრდულ ბიოგრაფიაში – 75-ე წუთამდე თავისი საქმე გააკეთა, მერე კი განაგრძო ჩვეულებრივი მსაჯობა. მატჩის მე-4 წუთზე აშკარა თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა „საბურთალოს“ სასარგებლოდ. მე-19 წუთზეც შეეძლო პენალტის დანიშვნა, თუმცა, ამ შემთხვევაში საკამათო ეპიზოდი იყო. ყრუაშვილი „საბურთალოს“ ფეხბურთელებს უხეშობისთვის და მაისურზე დაქაჩვისთვის ყვითელ ბარათებს უჩვენებდა, ხოლო ანალოგიური ქმედებებისთვის მასპინძლებს მხოლოდ სიტყვიერად აფრთხილებდა. შეხვედრის 69-ე წუთზე „საბურთალო“ 10 კაცით დარჩა, 75-ე წუთზე კი ისეთი თერთმეტმეტრიანი დანიშნა „საბურთალოს“ კარში, რომ „დინამოს“ თავგადაკლული ქომაგებიც კი გააკვირვა!“** – წერია „საბურთალოს“ წერილში.

„საბურთალოს“ ადმინისტრაციის განცხადებაში ასევე მითითებულია, რომ გუნდის მიმართ არაობიექტურ მიდგომას ადრეც აწყდებოდნენ.

„იცით თუ არა, რომ საქართველოში მსაჯი უშეცდომოა! ყოველ შემთხვევაში, ამას გვიმტკიცებენ მსაჯთა კორპუსში – არ გვახსენდება პრეცედენტი, როდესაც მსაჯთა ხელმძღვანელებს ეღიარებინოთ ამა თუ იმ მსაჯის შეცდომა, ან რომელიმე მათგანზე უკმაყოფილება გამოეთქვათ. ჰოდა, ვიდრე მსგავსი მიდგომა იქნება, ვიდრე რეალურად არ შეაფასებენ ამა თუ იმ ადამიანის ქმედებას, მანამდე ასეთ დღეში ვიქნებით. როგორ ფიქრობთ, პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მსაჯები ასე „ჭკვიანურად“ მსაჯობენ „საბურთალოს“ წინააღმდეგ? სულ მცირე ხნის წინათ „საბურთალოს“ მონაწილეობით გამართულ მატჩში ანალოგიურად, ერთი-ერთში მოიქცა ყრუაშვილის კოლეგა ჯენერი ხორავა! ამ დუეტს დიდად არც გიორგი კიკაჩეიშვილი ჩამოუვარდება... რომ დააკვირდეთ „საბურთალოს“ მატჩებს ზედა ხუთეულის გუნდებთან, სადაც უფრო დიდი შანსია გუნდმა ქულები დაკარგოს, ხშირ შემთხვევაში სწორედ ამ სამეულს ნიშნავენ მთავარ არბიტრებად. არ იფიქროთ, მხოლოდ წლეულს მსაჯობენ არბიტრები ტენდენციურად „საბურთალოს“ საპირისპიროდ. მიუხედავად იმისა, რომ შარშან კლუბი ისტორიაში პირველად გახდა ქვეყნის ჩემპიონი, მაშინაც იყო მიზანმიმართული ბრძოლა, მაგრამ 2018 წელს ჩვენმა კლუბმა ყველანაირი ბარიერი დაძლია და დასახულ მიზანს მიაღწია!“, – აღნიშნულია „საბურთალოს“ განცხადებაში.

◎ თემა

ეს ამბავი გამახსენა იმ ინციდენტმა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ მოხდა საქართველოს პარლამენტში და საკმაოდ მწვავე დისკუსია გამოიწვია. პარლამენტის სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ შოთა ხაბარელმა პარლამენტის სხდომის მიმდინარეობისას ოპოზიციური „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერს გიგა ბოკერიას ჰკითხა: „არის თუ არა ქართველი სპორტსმენების უკანასკნელი წლების წარმატებები ქვეყნის ხელისუფლების მხარდაჭერის შედეგი?“ რაზეც კატეგორიული პასუხი მიიღო: „არა, სპორტსმენთა მიღწევები მხოლოდ და მხოლოდ თავად სპორტსმენთა დამსახურებაა და სხვა არავისი“.

სჭირდება სპორტს პოლიტიკური „წონა“?



პირდაპირ ვიტყვი, ბატონმა ბოკერიამ იეშმაკა! არავითარ შემთხვევაში არ ვამცირობ საქართველოს სპორტსმენთა ბოლო წლების დამსახურებას სხვადასხვა ნომინაციაში, ოღონდ უნდა ითქვას სიმართლე: სახელმწიფოს ხელშეწყობის გარეშე მათი მიღწევები ასეთი მაღალი არ იქნებოდა.

სამწუხაროა, რომ ზოგიერთი დეპუტატი, პოლიტიკურ ოპონენტებთან დავისას და მათი ნებისმიერი, თვით უმნიშვნელო არგუმენტის გაბათილების ცდისასაც კი, ხშირად აღმოჩნდება ხოლმე „ნოკაუტში“ და ამომრჩევლებში უხერხულობისა და სირცხვილის გრძნობას იწვევს.

ახლა ერთი ამბავი:

1992 წლის ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე, ყოფილი სსრ კავშირის გაერთიანებული გუნდის სახელით გამოსვლისას, გამოჩენილმა ძალოსანმა კახი კახიაშვილმა თავისი პირველი ოქროს მედალი მოიპოვა. ოლიმპიადის შემდეგ ის თითქმის ორი წელიწადი ახლადშექმნილი სახელმწიფოს – საქართველოს სპორტული დროშით გამოდიოდა, შემდეგ კი (1994 წ.) იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა. ის საბერძნეთში ემიგრაციაში წავიდა და თავისი სპორტული კარიერის ბოლომდე გამოდიოდა აკაკიოს კახიაშვილისის სახელით. მას შემდეგ, რაც მეორე ოლიმპიური ოქრო მოიპოვა ატლანტაში, თქვა: „ორიდან პირველი ოქროს მედალი მე მოვიგე საქართველოსთვის, სადაც დავიბადე და ვიცხოვრე 23 წელი, მაგრამ მე ასევე ძალიან მინდოდა მომეპოვებინა კიდევ ერთი მედალი საბერძნეთისთვის – ქვეყნისთვის, რომელიც მიყვარს და სადაც ამჟამად ვცხოვრობ მშობლებთან ერთად“. ოთხი წლის შემდეგ, კვლავ გამოდიოდა რა საბერძნეთის სახელით, აკაკიოსი მესამედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი.

მოგვიანებით კახი კახიაშვილმა აღიდგინა საქართველოს მოქალაქეობა და დაბრუნდა. ამჟამად ის საქართველოს ძალოსნობის ფედერაციას უდგას სათავეში.

ოღონდ ისმის კითხვა: რატომ წავიდა საქართველოდან კახი კახიაშვილი 1994 წელს? როგორც იტყვიან, პასუხი ზედაპირზე დევს: სპორტსმენს შექმნილი არ ჰქონდა ვარჯიშის მინიმალური პირობები, სპორტულ დარბაზში წვიმა ჩამოდიოდა, არ მუშაობდა საშხაპე, იქ უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ცივი წყალი მოდიოდა. იყო სხვა სიძნელეებიც. ლაპარაკიც არ იყო ნორმალურ კვებაზე. სამწუხაროდ, კახიაშვილის ბედი იმ წლებში საქართველოს ბევრმა სხვა მკვიდრმა სპორტსმენმაც გაიზიარა.

რატომ გავიხსენე ეს ამბავი? იმიტომ, რომ ელემენტარული დასკვნა გამომეტანა: სახელმწიფო სტრუქტურების მხარდაჭერის, სისტემატური დაფინანსების გარეშე ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ოცნებაც კი არ შეიძლება საერთაშორისო დონის სპორტულ მიღწევებზე. ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ ცნობილი საჭადრაკო პედაგოგი, რომელმაც თავის დროზე აღმოაჩინა და გამოძერწა ჭადრაკის მომავალი ვარსკვლავი ნანა ალექსანდრია, პარლამენტარ გიგა ბოკერიას დედა, ხელფასს იღებდა არა ნორჩი ვარსკვლავის ოჯახის ჯიბიდან, არამედ – სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

დღეს ქართველ სპორტსმენებს მოწინავე პოზიციები უკავიათ სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიც არის ძიუდო, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, წარმატებებია რაგბიში, კალათბურთში.

ამ ცოტა ხნის წინათ ძალოსანთა სავარჯიშო ბაზაზე მომიხდა ყოფნა. იქ ყველა პირობაა შექმნილი ნაყოფიერი წვრთნისთვის. 1994 წლის ოლიმპიურ ჩემპიონს კახი კახიაშვილს ასეთ ბაზაზე ოცნებაც არ შეეძლო. ახლა კი ინებეთ – ივარჯიშეთ, მიაღწიეთ შედეგებს... და სულაც არ არის შემთხვევითი, რომ ჩვენი პლანეტის უძლიერესი კაცი – მძიმენონოსანი ლაშა ტალახაძე, ყველა მსოფლიო რეკორდის მფლობელი სპორტის ამ სახეობაში, სწორედ საქართველოში ცხოვრობს.

რა უნდა ითქვას? ლაშა ტალახაძე უმაღლესი სპორტული შესაძლებლობების მქონე ადამიანია, მაგრამ თუნდაც ათასჯერ მეტის შემძლეც რომ იყოს, ძნელია წარმოიდგინო სოლიდური სახელმწიფო დახმარების გარეშე, თანამედროვე საწვრთნელი ბაზის გარეშე, უამისოდ ის ვერ შეწვდებოდა ასეთ ფენომენურ სიმაღლეებს.

ასეა მოწყობილი თანამედროვე სპორტი. ამ ფაქტს ვერსად გაექცევით. ამ თემაზე დისკუსია, პოლიტიკური ქულების დაგროვება კი არაა საჭირო, არამედ ის, რომ საერთო ძალისხმევით (პარტიული კუთვნილების მიუხედავად) შევქმნათ სპორტის განვითარებისთვის კეთილსასურველი პირობები. აი, ეს ნიშნავს ჭეშმარიტ გულშემატკივრობას.

ვადიმ ანასტასიადი

საშიში ვირუსი

რატომ გვემართება ზამთარში გრიპი და შველის თუ არა ვაქცინა?..

ზამთრის დადგომასთან ერთად გრიპის ვირუსით დაავადებულთა რიცხვი იზრდება. როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო დირექტორმა პაატა იმნაძემ რადიო თავისუფლებას უთხრა, შარშან 20 000 ვაქცინა იყო გამოწერილი, წელს სახელმწიფომ 100 000 ვაქცინა შეიძინა, რადგან შარშანდელმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ საზოგადოებამ ნელ-ნელა დაიწყო ვაქცინაცია, მაშინ როცა წინა წლებში რისკჯგუფში მყოფი ადამიანებიც კი ნაკლებად იცრებოდნენ.

— რა უნდა იცოდეთ, სანამ სტატიის კითხვას გააგრძელებთ?

გრიპი სასუნთქი გზების მწვავე ინფექციური დაავადებაა, რომელსაც იწვევს ვირუსი.

არსებობს გრიპის ვირუსის ოთხი ტიპი: A, B, C, D; A B და C გრიპით აინფიცირებს ადამიანს.

საქართველოში შემოდის სამკომპონენტიანი და ოთხკომპონენტიანი ვაქცინა.

- სამკომპონენტიანი შეიცავს A ტიპის ვირუსის 2 ვარიანტს და B ტიპის ვირუსის 1 ვარიანტს;
- **ოთხკომპონენტიანი შეიცავს A ტიპის ვირუსის 2 ვარიანტს და B ტიპის ვირუსის 2 ვარიანტს.**

— რატომ არის საჭირო ვაქცინის გაკეთება?

გრიპს შეიძლება, გართულებები მოჰყვეს. სეზონზე ათიათასობით ადამიანი ავადდება და არის გრიპისგან დაღუპვის შემთხვევებიც. იმისთვის, რომ რისკჯგუფებს არ გაურთულდეთ გრიპი, საჭიროა ვაქცინაცია, — უპასუხა რადიო თავისუფლებას პაატა იმნაძემ

— ვინ განეკუთვნება რისკჯგუფს?

ორსულები, ქრონიკული დაავადების მქონე პირები, გულ-სისხლძარღვთა დაავადების მქონე ადამიანები, სუნთქვის სისტემის დაავადების მქონე ადამიანები, ასაკოვანი ადამიანები, მცირეწლოვანი ბავშვები. მაღალი რისკის ქვეშ არიან დახურული ტიპის ობიექტები: ბავშვთა სახლები, მოხუცებულთა თავშესაფრები. რისკის ქვეშ არიან ექიმებიც, რადგან ხშირად უწევთ პაციენტებთან ურთიერთობა.

— რამდენად იცავს ვაქცინა გრიპისგან?

გრიპის ვაქცინა იმით განსხვავდება სხვა ვაქცინებისგან, რომ მისი დამცველობითი ეფექტი არ არის ძალიან მაღალი, დაახლოებით 60 %-მდეა, მაგრამ იგი იცავს მძიმე გართულებებისგან. ყოველწლიურად ვაქცინა მზადდება იმ მოსალოდნელი შტამების საწინააღმდეგოდ, რომლის ცირკულაციაც არის მოსალოდნელი. იმიტომაცაა სამკომპონენტიანი და ოთხკომპონენტიანი ვაქცინები, რომ გათვალისწინებული იყოს გრიპის ის ვარიანტები, ადამიანს, რომ შეიძლება შეხვდეს..

— რატომ გვემართება ზამთარში გრიპი?

ზამთარი გრიპის გარეშე არ არსებობს. სეზონი ნოემბრის ბოლოს იწყება. ცივ გარემოში ვირუსი ძლებს, დაახლოებით, 7 საათს, მაშინ როდესაც სითბოში თითქმის მომენტალურად კვდება. გრიპის გავრცელებას ხელს უწყობს დახურულ გარემოში ყოფნა.

— როდის დაიწყება ვაქცინაცია?

კერძო კლინიკებში უკვე დაწყებულია ვაქცინაცია და ამ დროისთვის სამკომპონენტიანი ვაქცინები კეთდება.

ოქტომბრის ბოლოს კი ოთხკომპონენტიანი ვაქცინაც შემოვა და სახელმწიფო პროგრამით 100 000-მდე ადამიანისთვის, მაღალი რისკის ჯგუფებისთვის ვაქცინაცია იქნება უფასო (ორსულები, დიალიზზე მყოფი ადამიანები, მოხუცებულთა თავშესაფარში მყოფი ხანდაზმულები, დიაბეტიანი მოზრდილები და ბავშვები, ასევე სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები).

— ფასიანია თუ უფასო?

სხვადასხვა კერძო კლინიკაში ვაქცინაცია 30-50 ლარამდე ჯდება, **სახელმწიფო პროგრამა კი უფასოა და კონკრეტულ ჯგუფებზეა გათვლილი.**

— ვაქცინაციის გვერდითი მოვლენა?

როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო დირექტორმა პაატა იმნაძემ განაცხადა, გრიპის ვაქცინას ყველაზე ნაკლებად ახასიათებს გვერდითი მოვლენა, ნემსის გაკეთება კი შეიძლება ვინმესთვის ისედაც უსიამოვნო იყოს.

ანი გურდული

პირველი გასტრონომიული ტური სამეგრელოში

კულინარიული ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ახალი, უნიკალური პროექტი დაიწყო. ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

სამეგრელოში გასტრონომიული ტური მოეწყო. ახალი პროექტის მიზანია სხვადასხვა რეგიონის გასტრონომიული შესაძლებლობების პოპულარიზაცია, უნიკალური და ავთენტური სამზარეულოს ცნობადობის გაზრდა და შიდა ტურიზმის სტიმულირება.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პირველ გასტრონომიულ ტურში ცნობილი 9 შეფ-მზარეული მონაწილეობდა.

„სამეგრელოს განსაკუთრებული ტურისტული პოტენციალი აქვს. ჩვენ ახალი პროექტის ფარგლებში გვსურს წინ წამოვწიოთ ის უნიკალური შესაძლებლობა რაც ამ კუთხეს აქვს და რაც ასე მოსწონთ ჩვენს ტურისტებს, ამით ხელი შევუწყოთ სამეგრელოს პოზიციონირებას გასტრონომიული მიმართულებით.

მოხარულები ვართ, რომ ახალი პროექტის ფარგლებში ცნობილმა შეფ-მზარეულებმა ადგილზე შეისწავლეს თავიანთთვის აქამდე უცნობი, მრავალფეროვანი მეგრული კერძები, ადგილობრივ მზარეულებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს მათ მომზადებაში.

შეფ-მზარეულები მეგრული სამზარეულოს უნიკალური კერძების საკუთარ მენიუში გადმოტანას და მათ პოპულარულ რესტორნებში მომზადებას გეგმავენ“. —აცხადებს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მარიამ ქვრივიშვილი.**

პრეს-ტური USAID-ის პროექტის „ზრდა საქართველოში“ და საქართველოს გასტრონომიის ასოციაციის მხარდაჭერით გაიმართა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ახალი პროექტის ფარგლებში ტურის მონაწილეებმა მარტვილში, ზუგდიდსა და სენაკში მდებარე ეთნოსახლები დაათვალიერეს, ეწვივნენ საოჯახო სასტუმროებსა და კვების ობიექტებს.

ამერიკელმა ლატარიაში 30 000 დოლარი მოიგო

მერილენდის შტატში მცხოვრები ქალი ლატარიის ბილეთების ყიდვისას მუდმივად საყვარელ ციფრს ირჩევდა და მსხვილი თანხა მოიგო. ამის შესახებ UPI წერს.

63 წლის პამელა ვენდლანდმა ბოლოს რამდენიმე ბილეთი შვილთან ერთად იყიდა. მისი თქმით, ის კვირაში რამდენჯერმე თამაშობს და ყოველთვის თავის საყვარელ რიცხვს 9-ს წერს.

შედეგად მან 30 000 დოლარი მოიგო. მომგებიანი რიცხვების კომბინაცია კი ასეთი იყო: 9-19-29-39-49-59-69-79. ქალის თქმით, მოგებული თანხის ნაწილს ქორწინების 30 წლისთავის აღნიშვნისთვის დახარჯავს, დანარჩენს კი ოჯახის წევრებს გაუნაწილებს.

ფერთა ჯადოსნური სამყარო

გულის გასახარი პარკებითა და სკვერებით ქალაქების გალამაზება არა მარტო ხვატში ჟანგბადის უკმარისობის შესავსებად, არამედ ძირითადად რუხ, მეტწილად ერთფეროვან უბნებში არსებულ ფერთა დეფიციტის შევსებას ემსახურება.

ჯერ კიდევ ძველმა ეგვიპტელმა ქურუმებმა იცოდნენ, თუ რომელი ავადმყოფი რა ფერს საჭიროებს, ამიტომ შესაბამის სამედიცინო პროცედურებს ფერადფერადად შეღებილ ოთახებში ატარებდნენ. ზოგჯერ კი, სამკურნალო ეფექტის მისაღწევად, წყალს ფერსაც კი უცვლიდნენ!

ცნობილია, რომ წითელი ფერი დეპრესიით შეპყრობილ ადამიანებს გუნებას უუმჯობესებს, ლურჯი კი აღგზნების დროს დამამშვიდებლად მოქმედებს. საქვეყნოდ ცნობილი დეტექტივების ავტორი **ჟორჟ სიმენონი** ამბობდა, რომ წითელ პიჟამაში გამოწყობილი დღეში ექვს-შვიდ მოთხრობას წერდა. დიდი ფრანგი მხატვარი **ეჟენ დელაკრუა** კი მიიჩნევდა, რომ თითოეულმა ჩვენგანმა უნდა იცოდეს — **წითელი, ყვითელი** და **ნარინჯისფერი** სიხარულისა და სიმდიდრის იდეებს გვინერგავენ.

გამორთეთ ტელევიზორი!

ნოყიერი საუზმე და ასევე გამორთული ტელევიზორით საკვების მიღება, გულ-სისხლძარღვებს ათეროსკლეროზისგან აბებზე უკეთ დაიცავს, — აცხადებენ ბერძენი მეცნიერები.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანები, ვინც ნოყიერად საუზმობას არიან მიჩვეულნი და ტელევიზორთან კვირაში შვიდ საათზე ნაკლებს ატარებენ, გაცილებით ნაკლებად უჩივიან სისხლძარღვებში ნალექის წარმოშობას. იმათ კი, ვინც დილით მარტო ფინჯან ყავას მიირთმევს და თან გამუდმებით ტელევიზორს უცქერს, სისხლძარღვებში ბალთები ორჯერ უფრო ხშირად წარმოექმნებათ.

მეცნიერები დარწმუნებულები არიან, რომ მაღალენერგეტიკული საუზმე გულისთვის დიდი სარგებლის მომტანია.

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო, და თბილისი შიგ ჩასმული ბადაწში...

...დღეს დღეობაა თბილისქალაქის,
გეპატიჟებით ყველას!

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA

ა. ჩიქოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

რობერტ დე ნიროს გენდერულ დისკრიმინაციაში ადანაშაულებენ

რობერტ დე ნიროს ყოფილმა ასისტენტმა მის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. გრეჰემ ჩეიზი რობინსონი მსახიობს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციაში ადანაშაულებს და მორალური კომპენსაციის სახით მისგან 12 მილიონი დოლარის გადახდას ითხოვს.

Variety-ის ცნობით, მოსარჩელე აცხადებს, რომ დე ნირო მას ისე ეპყრობოდა, როგორც „საოფისე ცოლს“ და მის მიმართ სექსისტური შინაარსის გამონათქვამებს ხშირად იყენებდა. გარდა ამისა, რობინსონი ირწმუნება, რომ დე ნიროს კომპანიაში მას მამაკაც თანამშრომლებზე ნაკლებ ხელფასს უხდიდნენ.

„დე ნირო მოძველებული შეხედულებების ადამიანია. მისთვის მიუღებელია კაცებსა და ქალებს თანაბარი უფლებები ჰქონდეთ. ის არ თვლის, რომ სამსახურში სქესობრივი დისკრიმინაციით კანონი ირღვევა“, — აცხადებს მოსარჩელე. დე ნიროს კომპანიაში ბრალდებას აბსურდულს უწოდებენ.



აგვისტოში რობინსონის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი დე ნიროს კომპანიამ შეიტანა. ყოფილ ასისტენტს კომპანიის სახსრების გაფლანგვაში ადანაშაულებენ და მისგან 6 მილიონი დოლარის გადახდას ითხოვენ. კომპანიაში ასევე ირწმუნებიან, რომ რობინსონი სამუშაო ადგილზე სერიალების ყურებით იყო დაკავებული. მოსარჩელე მხარის მტკიცებით, ქალმა 4 დღეში ტელესერიალ „მეგობრების“ 55 ეპიზოდს უყურა.

ბენქსის ნახატი 9,9 მილიონ გირვანქად გაიყიდა

ანონიმი მხატვრის ბენქსის ცნობილი ნახატი „გადაცემული პარლამენტი“ Sotheby's-ის აუქციონზე 9,9 მილიონ გირვანქად გაიყიდა. ამის შესახებ BBS წერს.

4 მეტრამდე სიგრძის ნახატი პრიმატების მიერ ოკუპირებულ პარლამენტს წარმოაჩენს. ეს ანონიმი ქუჩის მხატვრის ყველაზე დიდი ნახატია. გაყიდვამდე რამდენიმე დღის განმავლობაში 2009 წელს შექმნილი ნახატი Sotheby's-ის სახლში დამთვალიერებლებისთვის იყო გამოფენილი.

აუქციონის შედეგს Instagram-ზე თავად ბენქსი გამოეხმაურა და სინანული გამოთქვა, რომ რეკორდულ ფასად გაყიდული ნახატი მას არ ეკუთვნოდა.

„მიუხედავად იმისა, თუ რომელ მხარეს ხართ Brexit-ის საკითხთან მიმართებით, უდავოდ, ამ ნახატს ახლა ისეთი დროულია, როგორც არასდროს“, — ნათქვამია სააუქციონო სახლის განცხადებაში.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.9700; ევრო - 3.2536;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6507;
100 რუბლი - 4.5650; თურქული ლირა - 0.5214;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7470;
1000 სომხური დრამი - 6.2343.

ამინდი 5 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე	+28
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+9,	დღე	+30
თბილისი:	ღამე	+16,	დღე	+26

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge